დედა, გენაცვალე!

საპარლამენტო რესპუბლიკა

www.sakresp.ge

პარასკევი, 3 მარტი. 2017 წ. №48 (8185), გამოცემის 99-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

უზენაესმა სასამართლომ „რუსთავი-2“ ქიბარ ხალვაშს მიაკუთვნა

როგორც იქნა სამართალმა პური ჭამა

უზენაესმა სასამართლომ გუშინ „რუსთავი-2“-ის 60 პროცენტის წილის მესაკუთრედ ქიბარ ხალვაში, ხოლო 40 პროცენტის – შპს პანორამა ცნო.

უზენაესი სასამართლოს სარეზოლუციო ნაწილში აღნიშნულია, რომ სასამართლოს დიდმა პალატამ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-17 მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდესის 399-ე, 372-ე მუხლებით, 257-ე მუხლის პირველი ნაწილით, 264-ე მუხლის მესამე ნაწილით და 408-ე მუხლის მესამე ნაწილით და 411-ე მუხლით და გადაწყვიტა:

1. ლევან ყარამანაშვილის, გიორგი ყარამანაშვილის შპს, ტელეკომპანია საქართველოს, ნინო ნიჟარაძის შპს, „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“ საკასაციო საჩივრები დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 10 ივნისის განჩინება და მიღებული იქნა ახალი გადაწყვეტილება.

3. ქიბარ ხალვაშისა და შპს პანორამას სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

4. გაუქმდეს შპს სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი-2“-ის (ს.კ 211352016) პარტნიორების: გიორგი ყარამანაშვილის 18 პროცენტის, ტელეკომპანია „საქართველოს“ 51 პროცენტის, ნინო ნიჟარაძის 9 პროცენტის წილების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში და შპს სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი-2“-ის 60 პროცენტი წილის მესაკუთრედ ცნობილ იქნას ქიბარ ხალვაში, 40 პროცენტი წილის მესაკუთრედ შპს „პანორამა“.

ვიდრე დედა გყავს...

ზოგჯერ თუ სევდა დანისლავს თვალებს,
ვერ დაიოკებს ცრემლებს ჟინიანს,
ნუ შეგაშინებს უძირო ღამეც,
ვიდრე დედა გყავს, ნუ გეშინია.

თუ გაგიხუნებს მეწყერი ფერებს
და ზამთრის სუსხი მხრებზე დაგათოვს,
გულს ნუ გაიტეხ, რა ვუყოთ მერე,
დედის გული და კალთა გაგათბობს.

ნუ შეგაშინებს მეხი იერით,
მეხი უფესვო ხეებს ერევა,
ვიდრე დედა გყავს, შენ ხარ ძლიერი,
ვიდრე დედა გყავს, ვინ მოგერევა.

ჭირთა თმენა და დიდი იმედი,
დედა სიცოცხლის თვალისჩინია,
ვიდრე დედა გყავს, ხარ ბედნიერი,
ვიდრე დედა გყავს, ნუ გეშინია.

ლილი ნუცუბიძე.
ქ. ჭუთაისი

3

„საქართველოს უკანასკნელი პატრიარქი“(?!)

ჩვენი მირონცხებული ხელმწიფენი

9

თამარ მეფე - საქართველოს დედა;

გიორგი IV ლაშა;

რუსუდანი;

დავით VI ნარინი;

დავით VII ულუ.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია მწუხარებით აუწყებს თავის მკითხველს, რომ გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი ექიმი-პედიატრი, მეცნიერი და მკვლევარი, იშვიათი ადამიანური ხიბლის მქონე, კაცთმოყვარე პიროვნება, ათეულ ათასობით ბავშვის სიცოცხლის გადამრჩენელი, ჩვენი გაზეთის მუდამ სასურველი ავტორი და მკითხველი, ჭეშმარიტი საზოგადო მოღვაწე და მამულიშვილი

ავთანდილ კვეზერელი-კოპაძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის დიდ ოჯახს.

პრემიერ-მინისტრი: ჩვენ კარგი სტარტი ავიღეთ!

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, იანვარი იყო ძალიან წარმატებული ეკონომიკური ზრდის თვალსაზრისით, ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მთავრობის სხდომაზე განაცხადა. გიორგი კვირიკაშვილი 2017 წლის იანვარის ეკონომიკურ ზრდასთან დაკავშირებით, სტატისტიკის ეროვნული სამსხურის მიერ გამოქვეყნებულ მაჩვენებლებს გამოეხმაურა და მას პოზიტიური შედეგი უწოდა.

„იანვარი იყო ძალიან წარმატებული. 5,2% მთლიანი შიდა პროდუქტის რეალური ზრდა გახლავთ ძალიან მისასალმებელი შედეგი. ასევე მნიშვნელოვანია, რომ ამ პარამეტრის გაანალიზების დროს ჩვენ ვნახულობთ არაერთ ძალიან მნიშვნელოვან მაჩვენებელს. მაგალითად, ექსპორტი 44.7%-ით გაიზარდა იანვარში წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით. ყველა პარამეტრი, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანია, მაგალითად, დღგ-ს ბრუნვა თითქმის 21%-ით არის გაზრდილი, 33 %—ით არის გაზრდილი ახლად რეგისტრირებულ საწარმოთა რაოდენობა. ბევრი დადებითი პარამეტრია— გაზრდილია ტურიზმის მაჩვენებლები. ვფიქრობ, რომ ძალიან კარგი დასაწყისი გვაქვს“, — განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა.



ეს დაიწყო 2012 წელს — კვირიკაშვილი ღარიბაშვილს მადლობას უხდის

ეს შედეგი მთელ საქართველოს ეკუთვნის, კიდევ ერთხელ გილოცავთ გუშინდელ დღეს! — ასე გამოეხმაურა პრემიერ-მინისტრი საქართველოს მოქალაქეებისთვის უვიზო მიმოსვლის შემოღებასთან დაკავშირებული რეგულაციის ხელმოწერის ფაქტს. გიორგი კვირიკაშვილმა მადლობა გადაუხადა ყველას, ვინც ჩართული იყო სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის შესრულების პროცესში და აღნიშნა, რომ ეს არის საქართველოს უდიდესი წარმატება.

„ევროპამ კარი გაუღო საქართველოს, საქართველოს მოქალაქეებს. ეს არის დიდი ნდობის გამოხატულება და მინდა, ყველა თქვენგანს მადლობა გადაგიხადოთ. ეს არის დიდი შრომის შედეგი, მათ შორის ჩემი წინამორბედი პრემიერ-მინისტრის დროს — ბატონ ირაკლი ღარიბაშვილის პერიოდში შესრულდა ტექნიკური გეგმის დიდი ნაწილი. ეს პროცესი დაიწყო 2012 წელს, როდესაც მივიღეთ ვიზალიბერალიზაციის სამოქმედო გეგმა, მაშინ პრემიერ-მინისტრი იყო ბატონი ბიძინა ივანიშვილი. ეს არის ჩვენი დიდი წარმატება! ასევე უნდა ითქვას, რომ ეს არის მთელი 25 წლის განმავლობაში, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, არაერთი ადამიანის გმირული მოღვაწეობის შედეგი. მათ შორის, რა თქმა უნდა, უნდა მოვიხსენიოთ ის ადამიანები, რომელთაც თავი დადეს ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობისთვის და სიცოცხლე შეწირეს მას. მართლაც, მუდამ უნდა გვახსოვდეს და ვიცოდეთ, რომ თანმიმდევრულობას, თავდადებულ შრომას ყოველთვის მოაქვს ძალიან დიდი შედეგი,“ — განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა მთავრობის სხდომის დაწყების წინ.

გიორგი მარგველაშვილმა ალექსანდრე ლუკაშენკო საქართველოში მოიწვია

ბელარუსში ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში **გიორგი მარგველაშვილსა და ალექსანდრე ლუკაშენკოს შორის გუშინ კიდევ ერთი შეხვედრა შედგა.**

ლიდერებმა ვიზიტის შედეგები შეაჯამეს და მიღწეული შეთანხმებების განხორციელების კონკრეტულ გზებზე ისაუბრეს. გიორგი მარგველაშვილმა ბელარუსი კოლეგა საქართველოში მოიწვია.

გიორგი მარგველაშვილი ბელარუსის პრეზიდენტს ალექსანდრე ლუკაშენკოს ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში მეორედ შეხვდა. გუშინ გამართული შეხვედრა 3 საათზე მეტ ხანს გაგრძელდა.

საქართველოს პრეზიდენტმა სპორტული კომპლექსი „მინსკ არენა“ დაათვალიერა

საქართველოს პრეზიდენტი დელეგაციასთან ერთად კულტურული ღონისძიებების ფარგლებში მრავალფუნქციურ კულტურულ-სპორტულ კომპლექს „მინსკ არენას“ ესტუმრა.

გიორგი მარგველაშვილს სპორტული კომპლექსის ბაზაზე არსებული ინფრასტრუქტურა კომპლექსის დირექტორმა ნიკოლაი ანანიევმა დაათვალიერებინა და ცენტრის საქმიანობა გააცნო.

აღინიშნა, რომ ქართული მხარისათვის განსაკუთრებით საინტერესო და მნიშვნელოვანია სპორტკომპლექსის, როგორც წარმატებული ინფრასტრუქტურული პროექტის, გამოცდილების გაზიარება ბაკურიანის კურორტის ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითრების თვალსაზრისით.

მთავრობისთვის უნდობლობის გამოცხადების პროცედურა გამარტივდება

საკონსტიტუციო რეფორმის ფარგლებში პარლამენტის მიერ მთავრობისთვის უნდობლობის გამოცხადების პროცედურის გამარტივება იგეგმება. პარლამენტის თავმჯდომარის განცხადებით, აღნიშნული პროცედურა საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოვიდეს.

„მთელი კონცეფცია, რომელიც იყო შემოთავაზებული თავის დროზე, აგებული იყო იმაზე, რომ პრემიერ-მინისტრი და მთავრობა პრაქტიკულად იყო ხელშეუხებელი. რეფორმის კონტექსტი იყო საპრეზიდენტო ძალაუფლების პრემიერ-მინისტრზე გადატანა. შესაბამისად, უკიდურესად გართულდა უნდობლობის გამოცხადება. ჩვენი ერთ-ერთი ამოცანა არის ამ პროცედურის ხელისუფლების დანაწილების პრინციპთან და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა“, — განაცხადა კობახიძემ. ირაკლი კობახიძის თქმით, უნდობლობის ვოტუმთან დაკავშირებით იყო გარკვეული სპეკულაციები. კომისიის წევრებს მედიამდე ინფორმაციის მაქსიმალური სიზუსტით მიტანისკენ მოუწოდა.

ისეთი საარჩევნო სისტემა უნდა ჩამოყალიბდეს, რომელშიც ოპოზიციის პოზიციები უფრო გაძლიერდება

ირაკლი კობახიძის თქმით, ამის მთავარი ინსტრუმენტი პროპორციულ სისტემაზე გადასვლაა:

„ჩვენ გვესახება ასეთი სისტემა — ძლიერი პარლამენტი. რა განაპირობებს პარლამენტის სიძლიერეს — საარჩევნო სისტემა! დღევანდელი საარჩევნო სისტემა გარკვეულ უპირატესობას გამარჯვებულ პარტიას ანიჭებს და ოპოზიცია შედარებით სუსტ პოზიციაში გადაჰყავს. ეს არის არსებული საარჩევნო სისტემის ძირითადი თავისუბურება. საბოლოოდ, საქართველოში ისეთი საარჩევნო სისტემა უნდა ჩამოყალიბდეს, რომელშიც კიდევ უფრო გაძლიერდება ოპოზიციის პოზიციები. ამის მთავარი ინსტრუმენტი არის არსებითად პროპორციულ სისტემაზე გადასვლა. ის თუ როგორ გვესახება პროპორციული სისტემა, ბუნებრივია, პროპორციულ სისტემას აქვს თავისი თავისებურებები — დაწყებული საარჩევნო ბარიერით, დასრულებული სხვა საკითხებით. ამასთან დაკავშირებით წარმოდგენილია კონკრეტული პროექტი და შეგვიძლია დეტალურად ვისაუბროთ“, — განაცხადა კობახიძემ სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის ორი სამუშაო ჯგუფის გაერთიანებულ სხდომაზე.

რა კავშირშია ტექნოლოგიური უნივერსიტეტი პარლამენტის შენობასთან?

პარლამენტის **თბილისში გადმოტანის საკითხი ქუთაისში ტექნოლოგიური უნივერსიტეტის მშენებლობასთანაა კავშირში,** — ამის შესახებ ისაუბრა პარლამენტის თავმჯდომარემ სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის გაერთიანებულ სხდომაზე.

„მოგეხსენებათ, არჩევნების წინ მმართველი გუნდის მხრიდან გაჟღერდა გარკვეული დაპირებები მოსახლეობის მიმართ და ეს დაპირებები რაღაცნაირად უნდა გავითვალისწინოთ ჩვენ ცვლილებების განხორციელებისას. აქ ორი ვარიანტია: ერთი, რომ დარჩეს ის ჩანაწერი, რაც დღეს არის კონსტიტუციაში ან მეორე, რომ ამოვიღოთ ჩანაწერი და დარჩეს ამ ეტაპზე რეგლამენტში. ეს დაპირება იყო დროებითი ხასიათის, გარკვეულ გარემოებებთან იყო დაკავშირებული, კერძოდ, საუბარი იყო იმაზე, რომ მას შემდეგ, რაც ქუთაისი შეიძენს სხვა ფუნქციურ დატვირთვას, გადმოვა პარლამენტი ქუთაისიდან თბილისში. მინიშნება კეთდებოდა ტექნოლოგიურ უნივერსიტეტზე და მასთან დაკავშირებულ ინფრასტრუქტურულ ცვლილებებზე. აქედან გამომდინარე, ჩვენ ამ დაპირებით ვართ გარკვეული ფორმით შეზღუდული და ეს დაპირება შეიძლება ორი სხვადასხვა სახით აისახოს კონსტიტუციაში“, — განმარტა ირაკლი კობახიძემ.

მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებში პრეზიდენტს ხალხი აირჩევს

— შესაძლოა, ჩვენ წავიდეთ იმ მოდელით, რომ მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებში პრეზიდენტი აირჩიოს ხალხმა, ხოლო შემდგომ, არჩევნების ნაცვლად იყოს ის, რაც მიღებულია საპარლამენტო მოდელში, როცა პრეზიდენტს პარლამენტი ამტკიცებს, — ამის შესახებ ჟურნალისტებთან საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა ირაკლი სესიაშვილმა განაცახადა.

თუკი ჩვენ გვინდა, რეალურად საპარლამენტო რესპუბლიკა გვქონდეს და არ იყოს ჰიბრიდული სისტემა, ამ შემთხვევაში პრეზიდენტის როლი არის ერთგვარად სიმბოლური, თუმცა ძალაუფლების ბალანსის ფარგლებში მას მნიშვნელოვანი როლი აქვს კრიზისების შემთხვევაში. მიმაჩნია, რომ ჰიბრიდული მოდელიდან ჩვენ რეალურ საპარლამენტო მოდელზე უნდა გადავიდეთ, რაც, რა თქმა უნდა, პრეზიდენტის არჩევის წესს შეცვლის. ამ ეტაპზე ვაგრძელებ მსჯელობას, რა სახით უნდა მოხდეს პრეზიდენტის არჩევა შემდგომ საპრეზიდენტო არჩევნებზე, რადგან ამან არ გამოიწვიოს ერთგვარი პოლიტიკური მითქმა-მოთქმა, რომ „ქართული ოცნება“ პრეზიდენტობის რომელიმე კანდიდატს ებრძვის. შესაძლოა, ჩვენ წავიდეთ იმ მოდელით, რომ მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებში პრეზიდენტი აირჩიოს ხალხმა, ხოლო შემდგომ, არჩევნების ნაცვლად იყოს ის, რაც მიღებულია საპარლამენტო მოდელში, როცა პრეზიდენტს პარლამენტი ამტკიცებს, — განმარტა სესიაშვილმა.

ნატოს სამხედრო კომიტეტის წევრები თბილისში

ნატოს სამხედრო კომიტეტის წევრები გენერალ პეტერ პაველის თავმჯდომარეობით თბილისში ჩამოვიდნენ. როგორც თბილისის საერთაშორისო აეროპორტში საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსმა ვლადიმერ ჩაჩიბაიამ განაცხადა, აღნიშნული ვიზიტი კიდევ ერთი ნათელი დადასტურებაა იმის, რომ საქართველო-ნატოს თანამშრომლობა თავდაცვის შესაძლებლობების კუთხით ვითარდება.

„კომიტეტი შედგება 28 ქვეყნის, ასევე მონტენეგროს სამხედრო წარმომადგენლობისგან. ამ დღეებში გაიმართება კომიტეტის სხდომა. სხდომის გარდა, ასევე იქნება მაღალი რანგის შეხვედრები პრეზიდენტთან, პრემიერ-მინისტრთან და თავდაცვის მინისტრთან. განიხილება საკითხები ნატო-საქართველოს ურთიერთობების გაღრმავების შესახებ, საქართველოს თავდაცვის შესაძლებობების ამაღლებისა და ნატო-საქართველოს ერთობლივი პაკეტის კუთხით სწავლებების თაობაზე. ასევე საქართველოს საერთაშორისო მისიებში მონაწილეობის შესახებ იქნება საუბარი“, — აღნიშნა ჩაჩიბაიამ.

პოლიტიკურ გაერთიანებებს არჩევნებში მონაწილეობა მხოლოდ დამოუკიდებლად მოუწევთ

საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი არჩილ თალაკვაძე განმარტავს, რომ საარჩევნო ბლოკების არსებობა და გამოყენება, არასწორი მიზნით ხდება და შედეგი საპარლამენტო დემოკრატიისა და მრავალპარტიული დემოკრატიის გაუმჯობესება არ არის.

„ბლოკების არსებობა პარტიებს საშუალებას აძლევს, ეს მექანიზმი გარკვეული მანიპულაციებისა და დამატებითი დაფინანსების მისაღებად გამოიყენოს. შემიძლია დავასახელო რამდენიმე ბლოკი, რომელში შემავალი პოლიტიკური ძალების შესახებ საზოგადოებამ არც კი იცის“, — აცხადებს არჩილ თალაკვაძე.

მამა გიორგი მამალაძე მას შემდეგ გააგრძელებს ჩვენების მიცემას, რაც მისი ოჯახი იქნება დაცული

მამა გიორგი მამალაძის ადვოკატის მიხეილ რამიშვილის განცხადებით დეკანოზი მხოლოდ მას შემდეგ გააგრძელებს ჩვენების მიცემას, რაც მისი ოჯახი იქნება დაცული:

„უკვე რამდენიმე დღეა გაუთქმელობის გაუქმებაზე აქვთ შეტანილი ადვოკატებს განცხადება და პასუხი არ არის, არც ჩვენს მოთხოვნაზეა პასუხი დაცვის ღონისძიებებზე. როგორც იცით, მეორე დაკითხვის დროს დეკანოზი ცუდად იყო და განაცხადა, რომ თუ არ განხორციელდება ოჯახის დაცვის ღონისძიება, ჩვენებას არ მისცემს. ამის თაობაზე ოქმშიც დაფიქსირდა. დეკანოზმა თავისი ხელით დაწერა განცხადება, რის შესახებაც პროკურატურამ თქვა, რომ გონივრულ ვადას იღებს. მათი გონივრული ვადა გონებიდან გამომდინარე რამდენი ხანი გაგრძელდება, ვერ გეტყვით. ჩვენი პოზიცია უცვლელი რჩება. მამა გიორგი ამ საქმეში არის უდანაშაულო“, — განაცხადა ადვოკატმა.

ივანიშვილის დენდროლოგიურ პარკში მორიგ ასწლოვან ხეს გადარგავენ

აჭარიდან გურიაში დენდროლოგიურ პარკში მორიგ ასწლოვან ხეს გადარგავენ. ჭადრის გადატანა ამჯერად სოფელ ბუკნარიდან მოხდება. როგორც კომპანია „ზიმოს“ ინჟინერმა ირაკლი შანავამ განაცხადა, მოსამზადებელი სამუშაოები დასასრულს უახლოვდება და ჭადრის ხეს, სავარაუდოდ, გვიან ღამით სანაპირომდე მიიტანენ.

„მოსამზადებელი სამუშაოები დასასრულს უახლოვდება და სავარაუდოდ, ჭადრის ხის ტრანსპორტირებას გვიან ღამით განვახორციელებთ. როგორც სხვა ხეები, ამასაც ზღვის გავლით დენდროლოგიურ პარკში გადავიტანთ. ამ დროისთვის ეტაპობრივად, 10-მდე ხის გადარგვას ვგეგმავთ როგორც სოფელ ბუკნარიდან, ასევე დაბა ჩაქვიდან“, — აცხადებს ირაკლი შანავა.

კომპანია „ზიმო“ აჭარიდან გურიაში დენდროლოგიურ პარკში უკვე მეხუთე ხეს გადარგავს.

◎ მოულოდნელი რაკურსით

„საქართველოს უკანასკნელი პატრიარქი“(?!)

ინგა გრიგოლიას პირველ განახლებულ თოქ-შოუში გამოსვლისას ჭყონდიდელმა მიტროპოლიტმა, მეუფე პეტრემ ძალიან მნიშვნელოვანი განცხადება გააკეთა, რომელსაც ადეკვატური კომენტარები არ მოჰყოლია.

მეუფემ სიტყვასიტყვით თქვა, რომ ეკლესიის ამჟამინდელი საჭეთმპყრობელი ილია მეორე, იქნება „საქართველოს უკანასკნელი პატრიარქი“!

შოუში მონაწილე ერთ-ერთმა კლირიკმა იქვე, ფაქტიურად, დაადასტურა, რომ წმინდა სინოდში ამგვარი აზრი ნამდვილად არსებობს, განიხილება და საწინააღმდეგო არგუმენტებიც მოიყვანა: საბერძნეთის ეკლესია სწორედ იმიტომ ჩავარდა ამჟამინდელ ქაოსურ და, კაცმა რომ თქვას, სამარცხვინო მდგომარეობაში, რომ იქ „ბერი — მიტროპოლიტს ვერ ცნობს“ და სინოდალური მმართველობაა, ანუ ეკლესიას მწყემსმთავარი არ ჰყავს.

მეორე, არცთუ უსაფუძვლო არგუმენტი: ამით აუცილებლად ისარგებლებს რუსეთი, ხოლო ქართული მართლმადიდებელი ეკლესია დაბრუნდება XIX საუკუნეში.

წარმოუდგენელია ეს ამჟამინდელ პატრიარქს სდომოდა. ცნობილია, რომ ბოლო დრომდე აქტიურად მიმდინარეობდა მეუფე დიმიტრის (ილია მეორეს ძმისშვილის) „შემზადება“ პატრიარქობისთვის, მაგრამ „ციანიდის“ მარაზმატულმა სკანდალმა ის შედეგიც გამოიღო, რომ მეუფე დიმიტრი უკვე უარს აცხადებს პატრიარქობაზე, რაკი მისი სახელი დაუკავშირდა „ციანიდის საქმეს“ და ეს უარი აბსოლუტურად ბუნებრივია: წინააღმდეგ შემთხვევაში, მუდმივად მოუწევდა ამ მომაკვდინებელი ეჭვით პატრიარქობა და, როგორც ჩანს, „აღარც უღირს“.

შესაბამისად, რაკი მოქმედ პატრიარქს სხვა ფავორიტი არ ჰყავს, „სინოდალურმა ძალებმა“, შესაძლოა, გადაწყვიტონ, რომ აშკარა „ჯახს“, დაპირისპირებას, სინოდში კენჭისყრას, გარდაუვალ სკანდალებსა და ეკლესიის შემდგომ დისკრედიტაციას ისევ „კოლექტიური მმართველობა“ ამჯობინონ, როდესაც ეპისკოპოსები ერთმანეთს შეცვლიან ეკლესიის საჭეთმპყრობლის პოსტზე.

ამ დისკურსში იმასაც დავაკვირდეთ, რომ მეუფე პეტრეს (როგორც პროკურატურის „ოქროს მოწმემ“ აღიარა), „ციანიდის საქმესთან“ არანაირი შეხება არა აქვს, რაკი არც ერთ ფარულ ჩანაწერში არაა ნახსენები. ანუ, ჭყონდიდელი მიტროპოლიტის აქტიურობა, როგორც ჩანს, უშუალოდ ამ საქმით კი არ არის გამოწვეული, არამედ იმ გათვლით, რომ ატეხილი აურზაურის ფონზე, უკვე შესაძლებელია „ქალბატონი შორენას“ მრავალწლიანი „პრობლემის“ გადაწყვეტა და სინოდისთვის ამგვარი ალტერნატივის შეთავაზება: პატრიარქობის გაუქმება და კოლექტიური, ესე იგი „სინოდალური მმართველობის“ შემოღება.

საკმაოდ ჭკვიანური გათვლაა (ვიმეორებ) იმის გათვალისწინებით, რომ რაკი ილია მეორეს სხვა კანდიდატი, გარდა მეუფე დიმიტრისა, აშკარად არ ჰყავს და სხვას არც დათანხმდება, ეს პროექტი (ბუნებრივია სამომავლოდ და არა დღესვე) მისთვისაც მისაღები შეიძლება გამოდგეს.

ოღონდ „გონივრული გათვლა“ არ ნიშანვს, რომ თვით პროექტი საქართველოში საპატრიარქო მმართველობის გაუქმების და სინოდალურზე გადასვლისა, ასევე ჭკვიანური და ქართული მართლმადიდებელი ეკლესიისთვის, ესე იგი ქართული სახელმწიფოსთვის მიზანშეწონილია! შესაძლოა პირიქით, - გამანადგურებელი შედეგი გამოიღოს და სრული ქაოსის გაღვივებას შეუწყოს ხელი.

* * *

ამ ეპიზოდმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რამდენად „მრავალწახნაგოვან“ მოვლენასთან გვაქვს საქმე, რამდენი სხვადასხვა ინტრიგისა და „კონსპირაციული პროცესის“ გაღვივება გამოიწვია „ციანიდის საქმემ“, რომლის გამანადგურებელ შედეგს ბოლომდე კიდევ ვერ ვაცნობიერებთ.

უკანასკნელი რამდენიმე დღის განმავლობაში უკვე სრულ მარაზმში გადაიზარდა: საეკლესიო წყევლით, ამ წყევლაზე კომიკური რეაქციებით, ყოველმხრივი ცრუპენტელობით, ხელისუფლების აშკარა დაბნეულობით, ეკლესიის უმაღლეს იერარქთა სრული ინტელექტუალური და ნებელობითი უსუსურობით (ჟურნალისტმა ასე როგორ უნდა „დაგაჩმოროს“ პირდაპირ ეთერში?!) და საზოგადოების „საბოლოო ხელჩაქნეულობით“.

ეს უკანასკნელი ყველაზე უარესია. უკვე ხშირად გაიგონებ: „საერთოდ არ ვიცი, რა ხდება და რა მოხდა სინამდვილეში, ვისი ანაფორა — ვის კათედრაშია და აღარც მაინტერესებსო“.

ასეთი გამანადგურებელი დარტყმა ქართულ ეკლესიას კომუნისტური ეპოქის შემდეგ არ უწვნევია და უკვე ძალიან ძნელი სათქმელია, ეშველება თუ არა საერთოდ რაიმე — ახლა უკვე როგორი „პროექტიც“ არ უნდა განხორციელდეს და რომელმა დაჯგუფებამაც არ უნდა გაიმარჯვოს!

* * *

გასული რამდენიმე დღის „თოქ-შოუებსა“ თუ სიუჟეტებში ერთი იოლად შესამჩნევი თუმცა ძნელად ასახსნელი უცნაურობაა. დავაკვირდეთ: თითქოს ყველა თანხმდება, რომ თუ არა თვით „ციანიდის საქმის“, მაგრამ ამ საქმის გარშემო შექმნილი ამაზრზენი სიტუაციის „გასაღები“ იქნებოდა იმ ყბადაღებული „ვიდეო-აუდიო ჩანაწერების“ გამოქვეყნება, რომელიც (მნახველთა საყოველთაო აღიარებით) „კითხვებს საერთოდ არ ტოვებს!“.

ყველა ადასტურებს, რომ კარგი იქნება გამოაქვეყნონ, — „საზოგადოება სიმართლეს გაიგებდა ან, როგორც მინიმუმ, თავად ექნებოდა საშუალება ემსჯელა მტყუან-მართალზე“ და ა.შ. მაგრამ, მივაქციეთ ყურადღება: არავინ სვამს უმთავრეს, მრავლისმეტყველ, საკვანძო კითხვას: რატომ არ აქვეყნებს პროკურატურა (ხელისუფლება) ამ ჩანაწერებს?

აი, ამ კონკრეტულ კითხვას „რატომღაც“ არავინ სვამს და არავინ იხსენებს გენერალური პროკურორის მოადგილის დაპირებას — „პატრიარქის გერმანიიდან დაბრუნებისთანავე გამოვაქვეყნებთო“.

მაშ რატომ არ გამოაქვეყნეს? ამ კითხვას არ სვამენ, რადგან პასუხი შესანიშნავად იციან და სწორედ ამ პასუხის გაჟღერება არ აწყობთ, რაკი მას შესაბამისი „კომენტარებიც“ მოჰყვება: ხელისუფლებამ ჩანაწერების გამოქვეყნება იმიტომ გადაიფიქრა, რომ მას შემდეგ, რაც სინოდის წევრებს და პატრიარქს აჩვენა, მათ დაბეჯითებით სთხოვეს, „ეს“ არ გამოექვეყნებინა! იმიტომ, რომ იმ ჩანაწერებში ისეთი სიბინძურეები ჩანს, რაც (თურმე) საპატრიარქოში ტრიალებს, რომ ეკლესიის ავტორიტეტს კიდევ ერთი დარტყმა მიადგებოდა.

შესაბამისად, ხელისუფლება იძულებულია, შეურიგდეს „გაშაირებას“, შეურიგდეს იმას, რომ „საქმის შეთითხვნას“ აბრალებენ, ხოლო პროკურორები კომიკურ კომენტარებს აკეთებენ „წყევლის“ თაობაზე, ოღონდ კი უმაღლესი საეკლესიო იერარქია არ გააწყენონ!

მთელი ამ ბინძური საქმიდან თუკი ვინმე გამოვა დაზარალებული, პირველ რიგში, საქართველოს „საერო სახელმწიფო“ და საზოგადოება, რომელიც ისედაც დაავადებულია „კონსპიროლოგიით“, ხოლო „ციანიდის საქმე“ ყოველგვარ ღირებულებით ორიენტირს დაუკარგავს და საგოლოოდ (ვაითუ, სამუდამოდ) ანუ „ისტორიულად დააბნევს“.

ნიკა იმნაიშვილი

ვილოცოთ დედაზე!

ყველაზე ძვირფასი, ახლობელი, სასურველი, საყვარელი, წმინდა, სათნო, თბილი, ალერსიანი, ლამაზი, ტკბილი, გონიერი, ჭკვიანი, დამთმობი, მიმტევებელი... სხვა თვისებების ჩამოთვლა შეიძლებოდა, უკლებლივ ყველა ადამიანისთვის ძვირფასი და საყვარელი ადამიანის – დედის კიდევ უფრო სრულყოფილად წარმოსაჩენად.

ასე ისურვა ღმერთმა – ქალი გახადა სიცოცხლის საწყისად და სწორედ აქედან მოდის ასეთი უძირო, ანგარიშმიუცემელი უსასრულო სიყვარული და დაფასება დედისა.

სიხარული გვაქვს თუ ბედნიერება, დედის ხსენებით ვიოკებთ აღტაცებას და კმაყოფილებას. გაჭირვება დაგვადგება თუ სატკივარი შეგვაწუხებს – ისევ დედის ხსენებითა და სახელით ვპოვებთ შვებას; ამა ქვეყნიდან წასვლის წინაც ადამიანები, „ვაი დედაო“ ამოიკვნესებენ, ანდა გონებაში გაიელვებენ და მარადისობაში გადაინაცვლებენ.

– ვაი, ნანა! – მწარედ ამოიკვნესა ვენეციელმა, ხმალი ხელიდან გაუვარდა და ცხენიდან ჩამოეშვა.

გაფითრდა, მაჰმუდ-ბეი, მთელი ტანი აუცახცახდა.

ვაი, ნანა! – ჩასძახოდა ყურში ავბედითი ხმა და გულის სიღრმემდე სწვდებოდა და აშფოთებდა.

ეგვიპტელ მამლუქთა მეთაურმა, ქართველმა, იქ, უცხო მიწაზე, მისგან განგმირული ვენეციელი ასისთავისგან დედის ქართულად ამოთქმამ მოიყვანა გონზე და საკუთარი თავი აპოვნინა. და, მიხვდა, ვის მიწას იცავდა, ვისთვის!

აკი თვითონაც, მამლუქთაგან სასიკვდილდ დაჭრილმა, თვალის დახუჭვის წინ ქართულად მოუხმო დედას: „ვაი, ნანა!“– მწარედ ამოიკვნესა და ვენეციელი ასისთავის ცხედარს დაემხო.

მამაზეციერმა უცილობელი განაჩენი არგუნა ორივე ქართველს – უცხო ქვეყნისთვის, უცხო მიწისთვის, უცხო მოდგმის სამსახურში ჩამდგართ, სამშობლოც რომ ერთი ჰქონდა და დედაც რომ ერთი და საერთო ჰყავდათ – ბედკრული საქართველო!

თვით მაცხოვრის ცხოვრება და დედასთან ურთიერთობაა ერთადერთი თარგი და საზომი ყოველი ჩვენგანისათვის, დედის პიროვნების განუზომელ სიმაღლეზე აყვანისა.

ქართველებს ნაკლებად გვესწავლება დედის სიყვარული, პატივისცემა, დაფასება, მიტევება, კრძალვა. ჩვენ, დაუნანებლად და უშურველად ვანაცვლებთ ყველაფერს, თვით სიცოცხლესაც კი დედის ბედნიერების, სახელისა და ღირსების დაცვას.

მაგრამ არიან ადამიანები, განგების ნებითა და სურვილით, რომ ვერ შეიგრძნეს დედის სითბო და სიყვარული. ისეთებიც არიან, მცირე ხნით რომ ერგოთ ეს ბედნიერება, მასთან ადრე განშორების გამო. და თითქოს დარჩა ამ უდიდესი გრძნობისა და მოვალეობის დაუხარჯავი, გამოუყენებელი წილი და სურვილი. თუმცა, ხომ ვთქვით – თითქოსო? დიახ, ასეც არის – სინამდვილეში ჩვენში არავინ არის უდედოდ, არავის აკლია მისი სითბო და ხელი, რადგან ღვთისმშობლის წილხვედრი საქართველოა ყველას დიდი და ერთადერთი დედა. მიწაც დედაა, გამჩენი და მასაზრდოებელი პატრონი ჩვენი, ამიტომაც ამოთქვა ქართველმა კაცმა: „დედაშვილობას ბევრს არ გთხოვ, შენს მიწას მიმაბარეო...“

დიახ, ქართველი მხოლოდ ქართულ მიწაზე უნდა დადიოდეს და ბოგინობდეს, მასზე ლოცულობდეს და ესიყვარულებოდეს, უვლიდეს და ეფერებოდეს, არავის უთმობდეს და ჩუქნიდეს, რადგან იგი დედამისია!

დედა უკვდავია, წყარო-სათავეა ქართველების უძლეველი მოდგმისა ქვეყანაზე!

გავუფრთხილდეთ, ვილოცოთ, ქართველებო, დედაზე. ჩვენ ხომ ერთი დედა გვყავს. ჩვენი სამშობლოს წილრგებული ღვთისმშობელი – ჩვენი დამცველი და გადამრჩენი!

გელა ჯიღაური

ხუდონჰესის მშენებლობას ადგილობრივი არჩევნები ამუხრუჭებს?!

ხუდონჰესთან **დაკავშირებით ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაციები ვრცელდება. ერთი მხრივ, პროექტის განმხორციელებელ კომპანიაში აცხადებენ, რომ ჰესის მშენებლობა ძალიან ჭიანურდება, მეორე მხრივ კი ენერგეტიკის მინისტრი ამტკიცებს, რომ მასშტაბური პროექტის განხორციელებას წინ ვერაფერი დაუდგება. ერთი რამ ცნობილია, წელს ხუდონის მშენებლობა ვერ დაიწყება. ადგილობრივი არჩევნების წინ სვანებთან დაპირისპირება არავის აწყობს.**

სვანეთში ხუდონჰესი აშენდება – ასე გამოეხმაურა ენერგეტიკის მინისტრი კახა კალაძე „ტრანს ელექტრიკას“ ტექნიკური დირექტორის დავით მირცხულავას განცხადებას, რომელმაც აღნიშნა, რომ პროექტი ამ ეტაპზე გაჩერებულია.

„ლონდონში ხელმოწერილი ბოლო ხელშეკრულების შემდეგ, რეალურად არაფერი გაკეთებულა. პროექტი გაჩერებულია. ჩვენ წელიწად-ნახევარი ვაგრძელებდით გარკვეულ კვლევებს, რომელიც მუდმივად უნდა აწარმოო ასეთი პროექტის შემთხვევაში, მაგრამ შემდეგ ინვესტორმა პროექტი გააჩერა, თუმცა გარკვეული სამუშაოები მონიტორინგის თვალსაზრისით დღესაც მიმდინარეობს“, – განაცხადა მირცხულავამ.

მისი ინფორმაციით, „ტრანს ელექტრიკამ“ პროექტის განხორციელებისთვის მოსამზადებელ სამუშაოებზე უკვე 30 მილიონ დოლარზე მეტი დახარჯა. ენერგეტიკის მინისტრი კი სულ სხვაგვარად უყურებს ამ პროექტს.

„მიმდინარეობს მოლაპარაკებები და როდესაც გადაწყვეტილება იქნება მიღებული, ყველაფერი გახდება ცნობილი. აშენებით აშენდება, რადგან ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი პროექტია, როგორც ენერგეტიკულ, ისე ეკონომიკურ ჭრილში, რადგან ასეთი მასშტაბური პროექტების განხორციელება ხელს უწყობს როგორც ქვეყნის განვითარებას, ისე ახალი სამუშაო ადგილების შექმნას. შესაბამისად, ასეთი მასშტაბური პროექტების განხორციელებას ჩვენ მხოლოდ და მხოლოდ მივესალმებით“, – განაცხადა ენერგეტიკის მინისტრმა.

სვანები კი უკან დახევას სულაც არ აპირებენ. მათ არაერთხელ დაიფიცეს ხატზე და ფიცის გატეხენ არავინ აპირებს. ხაიშელები კიდევ ერთხელ ადასტურებენ, რომ პოზიციას არ შეიცვლიან. სოფლის მკვიდრი ზური ნიჟარაძე დარწმუნებულია, რომ სხვა რეგიონების ყურადღებასაც მიიპყრობს, ხალხი ტერიტორიის დაცვაში ისევე დაუდგება გვერდით, როგორც 2013-14 წლებში, რითაც მშენებლობის სამზადისი შეაჩერებინეს.

„ჩვენი ყოველ გაზაფხულს შიშით ველოდებით. იმის ნაცვლად, რომ ვიშრომოთ და რაღაც შევმატოთ ოჯახს, ქვეყანას, მოსვენება დაკარგული გვაქვს. ჩვენი პოზიცია არ შეიცვლება, ხატზე დავიფიცეთ და ამ ფიცს ბოლომდე ვუერთგულებთ.

არ დავუშვებთ ისეთი პროექტის განხორციელებას, რომელიც ხაიშს და მთელ სვანეთს გაანადგურებს. ვერ დაგვითანხმებენ, საზოგადოების ყურადღებას მივიპყრობთ, ხაიში მარტო არ დარჩება ამ ბრძოლაში. ველოდებით ხალხის აქტიურ მხარდაჭერას, როგორც ეს 2013-14 წლებში მოხდა. მაშინ მთელი ქვეყანა ჩვენ გვერდით დადგა და პროექტი გავაჩერებინეთ“, – აცხადებს ზური ნიჟარაძე.

ასეთი დაძაბულობის ფონზე ცხადია, რომ წელს, ადგილობრივი არჩევნების პარალელურად ხუდონჰესის პროექტი ვერ დაიწყება...

ბექა დანელია

ბათუმის ახალ ბულვარში ნაპირგამაგრების პროექტის განხორციელება დაიწყო

აჭარის **მთავრობის თავმჯდომარე ზურაბ პატარაძე, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი ზურაბ ალავიძე და აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრი რამაზ ბოლქვაძე ახალ ბულვარში მიმდინარე ნაპირგამაგრების სამუშაოებს გაეცნენ.**

სანაპირო ზოლის აღდგენით სამუშაოებს საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი ახორციელებს. სამუშაოები აზიის განვითარების დაფინანსებით ხორციელდება.

საერთო თანხა დაახლოებით 38 მლნ ლარია. ამ ეტაპზე სამუშაო პროცესში 50-მდე ადამიანია დასაქმებული. პროექტი მიმდინარე წელს დაიწყო და 2018 წელს დასრულდება.

სამუშაოებს კომპანია „STRUIJK“ ახორციელებს. პროექტის მიზანია აეროპორტისა და სოფელ ადლიას მონაკვეთზე ბათუმის სანაპირო ზოლის ეროზიისგან დაცვა და მისი აღდგენა-გაფართოება. ბათუმის ნაპირდაცვის პროექტის ფარგლებში დაახლოებით 2 კმ ნაპირსამაგრი ნაგებობა მოეწყობა და სანაპიროს აღდგენა ქვიშა-ხრეშოვანი ნარევით განხორციელდება. ტერიტორიაზე 12 ერთეული საფეხმავლო ხიდი მოეწყობა, რომლის სიგრძე 20 მეტრი, ხოლო სიგანე 1,5 მეტრი იქნება.

დაგეგმილია ჭოროხის აუზის შესწავლა-მონიტორინგი. პროექტის ფარგლებში ასევე იქ არსებული ნაშალი მასალის გამოკვლევის სამუშაოები ჩატარდება.

კახეთის გზატკეცილზე გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები მალე დასრულდება

კახეთის **გზატკეცილზე ორხევის ხიდიდან ქალაქის ცენტრის მიმართულებით საავტომობილო გზის (1,7 კმ.) სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს.** თბილისის მერი დავით ნარმანია სამგორის რაიონის გამგებელთან გიორგი ბაგრატიონთან ერთად პირადად იმყოფებოდა ადგილზე, სადაც სამუშაოების მიმდინარეობას გაეცნო.

„ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი გზის მონაკვეთი. დაახლოებით, ერთი კილომეტრი და 700 მეტრი გზა კეთდება აეროპორტიდან ქალაქის ცენტრის მიმართულებით, რათა გადაადგილება იყოს უსაფრთხო და კომფორტული. ამდენად, პროექტი ძალიან მნიშვნელოვანია“, – განაცხადა დავით ნარმანიამ.

გზის რეაბილიტაციის ფარგლებში, 20 000 $მ^2$ ასფალტის ორფენიანი საფარი დაიგება. სამუშაოები რამდენიმე დღეში დასრულდება. პროექტს მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის დაკვეთით კომპანია „ჯეუ გრუპი“ ახორციელებს.

ნაძალადევის რაიონში მიმდინარე წელს 15-მდე საყრდენი კედელი აშენდება

სამუშაოები დასრულდა ბახმაროს შესახვევი 319-ში, სადაც 17მ სიგრძის კედელი აშენდა. შესრულებულ სამუშაოებს ნაძალადევის რაიონის გამგებელი ირაკლი ხელაძე ადგილზე გაეცნო.

„ჩვენი რაიონის ინფრასტრუქტურისთვის, ასევე მოსახლეობის უსაფრთხოებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ასეთი პროექტების განხორციელება. მიმდინარე წელს ვგეგმავთ 15-მდე საყრდენი კედლის მშენებლობა-რეაბილიტაციას. ამ ტიპის სამუშაოებისთვის 2017 წლის ბიუჯეტში საკმაოდ დიდი თანხა - 772 592 ლარია გათვალისწინებული“, – განაცხადა ნაძალადევის რაიონის გამგებელმა. ამ ეტაპზე საყრდენი კედლის მშენებლობა მიმდინარეობს ზვარეთის ქ.№36ა-ში. სამუშაოები რამდენიმე დღეში დასრულდება. 2016 წელს ნაძალადევის რაიონში 10 საყრდენი კედელი აშენდა, რისთვისაც გამგეობამ ბიუჯეტიდან 577 297 ლარი გამოყო.

დამარცხებული სიბერე

ზურაბ ჭუმბურიძე – 90

ზურაბ ჭუმბურიძე გავიცანი ჩვენი სტუდენტობის დროს, ომის წლებში, მას შემდეგ თითქმის შვიდმა ათეულმა წელმა განვლო. ზურაბი, წლების ტვირთით დამძიმებული, კვლავ ისეთია, როგორიც მაშინ გავიცანი – მუყაითი, საქმიანი, შრომისმოყვარე. ზურაბს თან მოაქვს წლების განმავლობაში დაგროვილი ჭირნახული – წიგნები, წერილები, მდიდარი მეცნიერული გამოცდილება და ცოდნა, მჭრელი კალამი, თმა კი შეევერცხლა – როგორც ყველას, ვინც მისი ხსნისანი დავრჩით – მაგრამ ფხიზელი გონება და მეცნიერული ალღო ძველებურად შერჩა.

ზურაბ ჭუმბურიძის მრავალმხრივი ინტერესები ახალგაზრდობიდანვე გამოიკვეთა. ლინგვისტების დავა ამა თუ იმ ენობრივი ნორმის შესახებ თუ მევენახეობის დარგობრივი ლექსიკა ისევე საყურადღებო იყო მისთვის, როგორც ლირეტარორთა ცხარე კამათი მწერლობის საჭირბოროტო საკითხების შესახებ. დღეს, როდესაც ზურაბ ჭუმბურიძეს უკვე ვიცნობთ როგორც ენათმეცნიერს, ფილოლოგს, ტექსტოლოგს, რედაქტორს, მრავალი სერიოზული მონოგრაფიისა და პოპულარული სამეცნიერო წიგნის ავტორს, ხშირად მიკვირს – როგორ მოახერხა მან ამის ყველაფრის ერთმანეთთან შეთავსება ისე, რომ ყველგან ჩასწვდა საქმის არსს და არსად დილეტანტობის ზერელობა არ დასტყობია. ამისთვის მარტო ბუნების მიერ ბოძებული ნიჭით არ მიუღწევია: მკაცრმა მეცნიერულმა სკოლამ, სადაც აღიზარდა და მკვლევარად ჩამოყალიბდა, ასწავლა მას მასალის გულდასმით შერჩევა-გამორჩევა და სიფრთხილე დასკვნების გამოტანისას. აკაკი შანიძის ხელმძღვანელობით შეითვისა ზურაბ ჭუმბურიძემ მეცნიერული კვლევის მეთოდოლოგია: დღეს, როდესაც ჰუმანიტარულ მეცნიერებებში მრავალი ახალი დარგი შემოვიდა და სტატიები ინგლისური – ზოგჯერ უადგილოდ გამოყენებული – ტერმინოლოგიით აჭრელდა, ზურაბმა შეინარჩუნა ქართველოლოგიური კვლევის ფუძემდებლური პრინციპები და ახალ კვლევასაც არ ჩამორჩა, ამიტომ არის მისი სამეცნიერო ნამუშაკევი სერიოზული და მრავალმხრივი. ზურაბმა ბევრი გააკეთა ქართველური ენების, განსაკუთრებით სვანურის შესასწავლად. ქართველური ენების ხუთენოვანი ლექსიკონი ზურაბ ჭუმბურიძის რედაქტორობით, სვანურის სახელმძღვანელო (ენის მატარებლის მიერ მოწოდებული ცოცხალი მასალის საფუძველზე) ამას ადასტურებს, ამავე დროს მკითხველს ხელთა აქვს ქართველი მწერლების თხზულებათა არაერთი ტომი, რედაქტირებული და კომენტირებული. თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ფუძემდებელთა ენა თვით მოითხოვს დაკვირვებას, უკანასკნელი საუკუნე-ნახევრის განმავლობაში ქართულმა ენამ ბევრი ცვლილება განიცადა – ანტონ კათალიკოსის ფსევდოქართული ქართულიდან ინგლისური ენის „ქართულ დიალექტამდე“. ამ პროცესს დაკვირვება უნდა, თანამედროვე ქართულს – ნორმირება. ზურაბ ჭუმბურიძეს აქაც ეთქმის თავისი სიტყვა. მან თავისი წვლილი შეიტანა ძველი ქართული ენის შესწავლაშიც. ძველი ქართულის ბრწყინვალე ძეგლია უდაბნოს მრავალთავი; აკაკი შანიძის გარდაცვალების შემდეგ სწორედ მან დაასრულა ხელნაწერის პუბლიკაციის საქმე.

წლების განმავლობაში ზურაბი ძირითადად კურსებს კითხულობდა ძველი ქართული ენის კათედრაზე. მრავალმა სტუდენტმა გაიარა მის ხელში. მან უცხოელი ქართველოლოგების აღზრდაშიც მიიღო მონაწილეობა.

ცალკეა სახსენებელი ზურაბ ჭუმბურიძის სამეცნიერო-პოპულარული წიგნები. ვისაც კი წაუკითხავს ასეთი წიგნები, მით უმეტეს – უცდია ერთი ასეთის დაწერა, კარგად იცის, რომ ეს უმძიმესი შრომაა. მშრალი მეცნიერული ფაქტის გადმოცემა ისე, რომ სიმართლე და ზუსტად ჩამოყალიბებული დებულებები არ დაამახინჯო, მკითხველის ყურადღება მიიპყრო, წიგნი არ გააშვებინო ხელიდან – ამას მარტო საკითხის ცოდნა კი არა, მხატვრული ალღო და მწერლის ნიჭიც უნდა. ზურაბის წიგნები: „რა გქვია შენ?“, „როგორ გაჩნდა სიტყვა“, „ქართული ხელნაწერების კვალდაკვალ“ – თითოეული რამდენიმეჯერ გამოსცა. ეს კი მოწმობს, რომ მათ მკითხველი ჰყავს: ეს მით უფროა სასიხარულო, რომ დღეს ეს ინტერესი ვლინდება. ტექნოლოგიზაციისა და ტექნოკრატიის ეპოქაში, დარწმუნებული ვარ, რომ ზურაბ ჭუმბურიძის ამ წიგნებმა ბევრს უჩვენა, რომ ენა, სიტყვა, სიტყვის ისტორია საინტერესოა და მეტად მნიშვნელოვანიც. ვფიქრობ, სწორედ ამგვარმა წიგნებმა უნდა მიახვედროს მკითხველი, რომ ადამიანის სულიერ სამყაროს ხშირად უფრო მეტს შესძენს პერგამენტის ჩაყვითლებული ფურცელი, საუკუნეთა განმავლობაში მტვრად ქცეული გადამწერის ხელნაწერი, ვიდრე ბევრი ახლად შექმნილი, ელექტრონული ტექნიკით გავსებული „გაჯეტი“. ეგებ ამგვარმა წიგნმა დააფიქროს მკითხველი, რატომ ჰქვია მის სოფელში რომელიღაც უბანს „იფნისხევი“ ან მდინარის შენაკადს „ჯიხვთაწყარო“ ან გაახსენოს აღმოსავლეთის ბაზრებზე გატანილი ხელნაწერის გამომსყიდველი თავისი წინაპარი! აქაც ვხედავ მათი ავტორის მამულიშვილურ საქმიანობას – არა მყვირალა, შინარსისაგან დაცლილ სტანდარტულ ფრაზებს, არამედ მუხლჩაუხრელ შრომას, მეცნიერის ფხიზელი გონებით წარმართულს.

ზურაბ ჭუმბურიძეს ოთხმოცდაათი წელი შეუსრულდა. იგი კვლავ მხნედ განაგრძობს შრომას, მას მხარში უდგას მისი ოჯახიც – მეუღლე, შვილი და სიძე – ქართული ენის სპეციალისტები, მეორე შვილი – გერმანისტი.

ვუსურვოთ ზურაბ ჭუმბურიძეს ძველებური ენერგია და შრომის უნარი, რომ საუკუნის მიჯნაზე მხნედ დააბიჯებდეს.

მზექალა შანიძე,
აკადემიკოსი.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია სულითა და გულით ულოცავს ბატონ ზურაბს იუბილეს, უსურვებს დიდხანს სიცოცხლეს და კვლავაც აქტიურ შემოქმედებით საქმიანობას.

◎ „მწიგნობარი – 2016“

რუსთაველიდან დღევანდელობამდე

2016 წელი მსოფლიოში დიდი ქართველი პოეტის შოთა რუსთაველის წლად გამოცხადდა და დიდი ჰუმანისტის დაბადებიდან 850 წელს მიეძღვნა. საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის მწიგნობართა ასოციაციის ყოველწლიურმა ორგანო „მწიგნობარმა“ ამ საიუბილეო თარიღს თავისი ახალი გამოცემის „მწიგნობარი-2016“ რამდენიმე გვერდი მიუძღვნა და მკითხველს **ელგუჯა ხინთიბიძის** „ვეფხისტყაოსნის პერსონაჟი და მისი ემოციური სამყარო“, **ნესტან სულავას** „ტიმოთე გაბაშვილის შოთა რუსთაველი“ და **დალი მაჩაიძის** „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემები ქართველ ავტორთა თარგმანებით“ წარუდგინა.

საინტერესო ხედვითაა წარმოდგენილი „ვეფხისტყაოსნის“ გმირების ემოციური სამყარო ელგუჯა ხინთიბიძის კვლევაში. ავტორი გმირთა შინაგანი ბუნებისა და პერსონაჟთა ემოციურობას შორის განსხვავებას მეტად საინტერესოდ წარმოგვიჩენს. იგი გვიჩვენებს, თუ როგორ სცილდება რუსთაველის პოემაში სიყვარული საკარო პოეზიის ნორმებს. **„ვეფხისტყაოსანში“ სიყვარული ადამიანის ბუნებრივი გრძნობაა და თავისუფალია ევროპული კურტუაზული სიყვარულის სავალდებულო და ნორმირებული პირობითობისგან. პოემის შეყვარებულ წყვილთა ურთიერთობა დასაწყის ეტაპზე საკარო პოეზიის კურტუაზიული სიყვარულის მსგავსია... შემდგომ ეტაპზე სიყვარული სცილდება ევროპული საკარო სიყვარულის მოდელს – სატრფოს სიყვარულთან ერთად მეგობრის სიყვარულშიც გადაიზრდება და სახელის ძიება უკვე საკუთარი ნებით მეგობრის სამსახურშიც გადაიზრდება... ადამიანის სრულქმნილების გზა პლატონის ფილოსოფიის მიხედვითაც ამგვარია: მშვენიერ სხეულთაგან – მშვენიერ საქმეებზე და შემდეგ – მშვენიერ იდეებზე“.**



ნესტან სულავა დიდი პოეტის ბიოგრაფიის კვლევას გვთავაზობს და ერთმანეთს უჯერებს ისტორიულ-დოკუმენტურსა და ფოლკლორულ-მითოლოგიურ მასალებს. მოგვითხრობს ჯვრის მონასტერში არსებული რუსთაველის ფრესკის შესახებ ტიმოთე გაბაშვილის თხზულების მიხედვით; განიხილავს ფრესკის წარწერასა და მონასტრის აღაპთა წიგნში რუსთაველის სახელის მოხსენიებას; ფრესკის ბედი ტიმოთე გაბაშვილის მიერ მისი აღწერიდან ვიდრე დღემდის; იყო თუ არა დიდი პოეტი იერუსალიმში, სად არის, სავარაუდოდ, იგი დაკრძალული. ყოველივე ეს მეტად საინტერესო კვლევის საკითხი გამხდარა ავტორისათვის.

რომელმა ქართველმა ავტორმა თარგმნა „ვეფხისტყაოსანი“ უცხოურ ენებზე, ვინ იყო პირველი, ვინც მსოფლიო დააინტერესა „ვეფხისტყაოსნით“, ვინ შეიტანა წვლილი ამ დიდ საქმეში დაწყებული საქართველოში მოღვაწე ქართველებით, დამთავრებული ემიგრაციაში მყოფი ჩვენი თანამემამულეებით. მსოფლიოში არსებობს რუსთაველის ქმნილების ექვსასამდე გამოცემა. ბევრი მათგანი უნიკალურია. ქალბატონ **დალი მაჩაიძის** ამ წერილში სრულადაა წარმოჩენილი ქართველ შემოქმედთა წვლილი დიდი პოეტის თარგმნისა და პოპულარიზაციის საქმეში.

„მწიგნობარი“ არც ამჯერად ღალატობს ტრადიციას და მკითხველისთვის მეტად საინტერესო რუბრიკებით **„დრო და ადამიანები“, „წიგნი და ცხოვრება“, „წიგნის მოამაგენი“, „წარსულის ფურცლები“** გვთავაზობს მეტად საინტერესო წერილებს პირველ ქართულ ბეჭდურ კალენდარზე, რაფიელ ერისთავისა და შიო მღვიმელის შემოქმედებაზე, ქართული წარმოშობის სპარსულენოვან პოეტებზე, ცაგერის მუზეუმში დაცულ უძველეს ხელნაწერებზე, „შუშანიკის წამების“ ქართულ-სომხური ვერსიების ურთიერთდამოკიდებულებაზე, ჯრუჭის ფსალმუნების უნიკალურ მინიატიურებსა და დავით (დუდა) გაბაშვილის შემოქმედებაზე. მკითხველი უყურადღებოდ არ ტოვებს **ნინო ხვედელიძის** „წერილი საფრანგეთში პირველი წიგნთმბეჭდავების შესახებ და ლეგენდარული ეტიენების საგამომცემლო სახლის ისტორიაზე“. აღელვების გარეშე ვერ წაიკითხავთ ქალბატონ **ივლიტა ასათიანი-ნაკაშიძის** მოგონებებს აკაკიზე, რაფიელ ერისთავსა და გიორგი წერეთელზე, ეკატერინე გაბაშვილსა და შიო მღვიმელზე, გრიგოლ წერეთელსა და დიდ ექვთიმე თაყაიშვილზე, ქალბატონ ივლიტას ოჯახის ბედზე.

ცრემლით ეთხოვება მწიგნობართა ასოციაცია „მწიგნობარის“ მთავარი რედაქტორის, ქართული ჟურნალისტიკის-მცოდნეობის პატრიარქის **ნოდარ ტაბიძის** გარდაცვალებას. მის ხსოვნას ეძღვნება **იოსებ ჭუმბურიძის** გამოსათხოვარი წერილი „შეუცვლელი“.

ალმანახი თავისი მრავალფეროვნებით, უნიკალური ილუსტრაციებითა და, როგორც ყოველთვის, პროფესიონალი ავტორების საინტერესო წერილებით კიდევ ერთხელ გაახარებს ქართველ წიგნის მოყვარულებს.

მამუკა ვაშაკიძე

ღვაწლმოსილი

ქართველ საზოგადოებაში არიან ადამიანები, რომელთა სამეცნიერო და საზოგადოებრივი საქმიანობა, ხალხისა და ქვეყნის წინაშე მათი დამსახურება სამაგალითო და მისაბაძია, რისთვისაც ისინი იმსახურებენ უდიდეს პატივისცემასა და სიყვარულს, ისინი უდავოდ ღირსეულ ადგილს იმკვიდრებენ ერის წინაშე.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ასეთ ადამიანთა კატეგორიას მიეკუთვნება აგროტექნოლოგიური აკადემიის, საქართველოს ბიზნესის აკადემიის აკადემიკოსი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ლევან გვაზავა**, რომელსაც 80 წელი უსრულდება.

ლევან გვაზავა დაიბადა 1937 წლის 4 მარტს ხაშურის რაიონის სოფ. ქვიშხეთში და აქვე მიიღო საშუალო სპეციალური განათლება, 1955 წელს უგამოცდოდ ჩაირიცხა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სატყეო-სამეურნეო სპეციალობაზე, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1960წ.

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მუშაობას იწყებს გორის საცდელ-საჩვენებელ სატყეო მეურნეობაში სატყეოს უფროსად. ერთი წლის შემდეგ მუშაობას აგრძელებს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ტყის მეურნეობის ეკონომიკისა და ტაქსაციის კათედრაზე და სწავლას აგრძელებს ასპირანტურაში. 1967 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია და მიენიჭა ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი. 1976 წლამდე მუშაობს იმავე კათედრაზე. 1976-1978 წლებში საქართველოს სატყეო-მეურნეობის სამინისტროს სამმართველოს უფროსია. 1978 წლიდან იგი აგრძელებს სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობას სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში დოცენტის, სატყეო ფაკულტეტის დეკანის თანამდებობაზე, ხოლო შემდეგ გეოდეზიისა და ლანდშაფტის დაგეგმარების კათედრის გამგედ.

ბატონი ლევანი, პირველი ქართველი მეტყევე-მეცნიერია, რომელმაც 1990 წ. წარმატებით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია მოსკოვში. ცნობილმა რუსმა მეცნიერმა აკადემიკოსმა ივ. მელეხოვმა სამეცნიერო საბჭოს წევრებს ასე მიმართა: „თქვენს წინაშე დგას ენციკლოპედიური ნიჭის მეცნიერი, რომელიც დაამშვენებდა არა მარტო საქართველოს, არამედ რუსეთსაც და ნებისმიერ ქვეყანას“.

ბატონი ლევანი არის გამორჩეული მაღალი ორგანიზატორული ნიჭით და უნარით დაჯილდოებული, ახალგაზრდობის დიდი მოსიყვარულე, შესანიშნავი პედაგოგი, თვალსაჩინო მეცნიერი, მომავალი თაობის უბადლო აღმზრდელი. მის მიერ აღზრდილი ასობით და ათასობით მაღალკვალიფიცირებული სპაციალისტები წარმატებით მოღვაწეობენ როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთ.

ბატონი ლევანი პედაგოგიურ საქმიანობასთან ერთად ეწევა ნაყოფიერ სამეცნიერო და საზოგადოებრივ საქმიანობას. იგი 130-ზე მეტი სამეცნიერო შრომის ავტორია. მათ შორის პირველად ქართულ ენაზე აქვს გამოქვეყნებული სახელმძღვანელო ხე-ტყის დამზადებაში, ასევე გამოქვეყნებული აქვს დამხმარე სახელმძღვანელოები, მონოგრაფიები, რეკომენდაციები, მეთოდური მითითებები და სხვა.

ბატონი ლევანი არჩეულია ხაშურის საპატიო მოქალაქედ, დაჯილდოებულია ღირსების ორდენით, ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო სიგელით, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სიგელით, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო სიგელით, მრავალი მედლით: ყამირი მიწების ათვისების საქმიანობაში; შრომითი მამაცობისათვის; სამკერდე ნიშნით – სოფლის მეურნეობის წარჩინებული მოღვაწე და სხვა. მან შექმნა არაჩვეულებრივი ოჯახი, სამაგლითო მეუღლე,ორი შვილის მამა და ოთხი შვილიშვილის ბაბუაა. დღეს ბატონი ლევანი სიყვარულით სავსე, დაუშრეტელი ენერგიით, სასიცოცხლო ძალით ავსებს თავის ასაკს. 80 წელი ბიოლოგიურად სიბერის ასაკია, მაგრამ თუ მოუსმენთ ცნობილი გენიოსის სიტყვებს – „ამ ქვეყნად მზეც ბებერია, მაგრამ მთელი ძალით აფრქვევს თავის თბილ სხივებს თავისავით ბებერ დედამიწას“, მაშინ ცხოვრება როგორც, განვითარების ბუნებრივი პროცესი, გრძელდება ჩვეული რიტმით. ჩვენც ამ მგზნებარე განწყობით, ბატონო ლევან, გილოცავთ დაბადებიდან 80 წლისთავს, გისურვებთ მზის ენერგიასა და დედამიწის გამძლეობას, დიდხანს სიცოცხლეს და კიდევ ბევრი სასიკეთო საქმეების კეთებას თქვენი ოჯახისა და ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ.

ბატონო ლევან, თქვენ ღირსეულად განვლეთ ცხოვრება, ჭეშმარიტად ვალმოხდილი ხართ ქვეყნისა და ერის წინაშე, სწორედ ამ ყველაფრისათვის ჩვენო ლევან, ყველა ჩვენგანი – მეგობრები, ნათესავები, კოლეგები, ყოფილი სტუდენტები გიგზავნით უდიდეს სიყვარულს, სიყვარულს გულისას, რომელ გულსაც არ შეიძლება თქვენ არ უყვარდეთ.

ელდარ გუგავა,
პროფესორი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი

კულტურული თანამშრომლობის მემორანდუმი იტალიასთან ხელმოწერილია

საქართველოს ხელოვანთა კავშირი „ხელოვნები მომავლისთვის“, კლასიკური მუსიკისა და ხელოვნების საერთაშორისო კომიტეტი „მომავლის ვარსკვლავები“ და იტალიის ქ. პეზაროს, რენატა ტებალდის და მარიო დელ მონაკოს სახელობის საერთაშორისო აკადემია, ა/წ 12 - 19 მაისს, იტალიის ქ. პეზაროში ატარებს კლასიკური მუსიკის მე-6 საერთაშორისო კონკურსს „მომავლის ვარსკვლავები“/FUTURE STARS 2017, რომელიც ეძღვნება საკონკურსო პროექტის „მომავლის ვარსკვლავების“ მე-10 საიუბილეო წლის და მაესტრო მარიო მელანის დაბადებიდან 100 წლის საიუბილეო თარიღს. საქართველოსა და იტალიის მხარეებს შორის გაფორმდა კულტურული ურთიერთთანამშრომლობის ერთწლიანი მემორანდუმი, რომელსაც ხელი მოაწერეს საქართველოს ხელოვანთა კავშირის თავმჯდომარემ, მუსიკოსმა, ნინო კუპატაძემ და იტალიის ქ. პეზაროს აკადემიის სამხატვრო ხელმძღვანელმა, ცნობილმა ქართველმა სოპრანომ ნინო ლეჟავამ.

კონკურსში მონაწილეობას მიიღებენ ქართველი, იტალიელი, გერმანელი, ირანელი, ყაზახი და აზერბაიჯანელი ნიჭიერი ვირტუოზი მუსიკოსები. საქართველოსა და იტალიის მხრიდან საგანგებოდ მოწვეული საერთაშორისო ჟიურის მიერ ნომინირებული მონაწილეებისთვის გათვალისწინებულია შემდეგი პრიზები: ერთწლიანი უფასო სწავლა იტალიის ქ. პეზაროს რ. ტებალდის და მ. დელ მონაკოს სახ. საერთაშორისო აკადემიაში, მაესტრო მარიო მელანის სახელობის პრიზი – 2-კვირიანი უფასო მასტერკლასები და კონცერტი, როსინის სახ. სიმფონიური ორკესტრის სპეციალური პრიზი – კონცერტებში მონაწილეობა სიმფონიური ორკესტრის თანხლებით და 10-დღიანი უფასო მასტერკლასები ორკესტრის პირველ ვიოლინოსთან; ასევე მონაწილეობა სხვადასხვა საერთაშორისო კონკურსებში, მათ შორის სიმფონიურ ორკესტრთან ერთად, ერთწლიანი სტიპენდიები, ფულადი პრემიები და ექსკლუზიური სახელობითი ჯილდოები. პროექტს უკვე აქვს ფართო გამოხმაურება იტალიურ პრესაში.

ენციკლოპედიური ნიჭის მეცნიერი

პროფესორი **ლევან გვაზავა** დაიბადა 1937 წლის 4 მარტს ხაშურის რაიონის სოფ. ქვიშხეთში. ჩვენი თანაკურსელი და მეგობარი პროფესორი ლევან გვაზავა 80 წლის ხდება. მან ამ ხნის მანძილზე მეტად რთული გზა გაიარა (მამა მის დაბადებამდე გარდაიცვალა). მიუხედავად ამისა, მას წიგნისთვის და შრომისთვის არასდროს უღალატია. შედეგმაც არ დააყოვნა და 1954 წელს, ბორჯომის სატყეო ტექნიკუმის წარმატებით დამთავრებისთანავე უმაღლეს სასწავლებელში უგამოცდოდ ჩაბარების უფლებას აძლევენ. თუმცა იმის გამო, რომ მიმდინარე წელს ინსტიტუტში სწავლა უკვე დაწყებული იყო, იგი ერთი წლით გაიგზავნა აფხაზეთში, გუდაუთის სატყეო მეურნეობაში სატყეოს უფროსად, თუმცა ცოტა ხნის შემდეგ, თვითონვე მოითხოვა მოადგილედ გადასვლა, რადგანაც მას კარიერა კი არა, არჩეული პროფესიის ღრმად შესწავლა სურდა.

1955 წელს იგი ხდება სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტი, რომელსაც წარჩინებით ამთავრებს. მან შეძლო სტუდენტობის პერიოდში დამსახურებული ავტორიტეტის მოპოვება როგორც პროფესორ-მასწავლებელთა, ასევე სტუდენტთა შორის. ჯერ კიდევ 1960 წელს გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტში“ დაიწერა სტატია (ბ-ნ მურმან ნიუარაძის) „მოდის ახალი ცვლა“. დღევანდელი გადასახედიდან თუ ვიმსჯელებთ, ბ-ნი მურმანის წინასწარმეტყველებამ გაამართლა. წლების მანძილზე ბ-ნი ლევანი, როგორც კვალიფიციური მეტყევე-სპეციალისტი ემსახურებოდა უაღრესად შრომატევად სატყეო დარგს.

თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ის იყო ასევე წარმატებული მეცნიერი და პედაგოგი. ორჯერ არჩეული იყო სატყეო ფაკულტეტის დეკანად, ხოლო ორჯერ – გეოდეზიისა და ლანდშაფტის დაგეგმარების კათედრის გამგედ. 1967 წელს წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია და მიენიჭა ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ იგი პირველი და ერთადერთი ქართველი მეტყევე-მეცნიერია, რომელმაც მოსკოვში დაიცვა სადოქტორო დისერტაცია. მანამდეც იყო ერთი მცდელობა, თუმცა იგი ჩააგდეს. რომ არა აკადემიკოს ივანე მელეხოვის მხარდაჭერა, ბ-ნი ლევანის დისერტაცია იმავე ბედს გაიზიარებდა, რაც მის წინამორბედს ერგო. აკადემიკოსმა მელეხოვმა ასე დამოძღვრა ქართველი მეცნიერი: **„ჩვენ წინაშე დგას ენციკლოპედიური ნიჭის მეცნიერი, რომელიც დაამშვენებდა არა მარტო საქართველოს, არამედ რუსეთსაც და ქვეყნის საზღვრებს გარეთაც, ამიტომ არ ვენდოთ ოპონენტების გადაწყვეტილებას. მე მგონი, ეს უგუნურება იქნებაო“.**

ბ-ნმა ლევანმა მოისმინა რა აკადემიკოს ივანე მელეხოვის შეფასება, გაუჩნდა გარკვეული შიში იმის გამო, რომ საბჭოს წევრებს არ ეფიქრათ, ეს ყველაფერი წინასწარ იყო შეთანხმებული, არადა, ვინც აკადემიკოს მელეხოვს იცნობდა, ძნელად თუ დაიჯერებდა, რომ მასთან შესაძლებელი იქნებოდა წინასწარ რაიმეს შეთანხმება.

იმისთვის, რომ გავამყაროთ აკადემიკოს მელეხოვის მოსაზრება ბ-ნ ლევანზე, მოვიყვანთ რამდენიმე ეპიზოდს.

დისერტაციის დაცვის შემდეგ ბ-ნ ლევანთან ერთად ახალგაზრდა მივიდა, გვარად ბოჭორიშვილი, რომელმაც ასე მიმართა მას: **„მე დედა რუსი მყავს, დავიბადე მოსკოვში და ყოველთვის ვამბობდი, რომ რუსი ვიყავი, თქვენი დისერტაციის დაცვის მოსმენის შემდეგ გადავწყვიტე ვთქვა, რომ ვარ ქართველი“.**

რამდენიმე ხნის შემდეგ მოსკოვიდან თბილისში ჩამოვიდა საბჭოს ერთ-ერთი წევრი, პროფესორი ნიკოლოზ კოჟუხოვი, რომელმაც სუფრასთან, სადაც სამი კაცი იჯდა (პროფ. თ. კანდელაკი, ა. ზედგენიძე და ლ. გვაზავა) აღნიშნა: **„ბიჭებო, თქვენ კარგები ხართ, მაგრამ ლევანი სულ სხვაა, ის ჩამოვიდა მოსკოვში, გაიმარჯვა და წავიდა“.**

ბ-ნ ლევანს გამოქვეყნებული აქვს 130-ზე მეტი ნაშრომი, მათ შორის პირველად, სახელმძღვანელო ქართულ ენაზე ხე-ტყის დამზადებაში, დამხმარე სახელმძღვანელოები, მონოგრაფიები და სხვა. მისი შრომები მოწონებულია სატყეო პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსის მიერ. იგი დაჯილდოებულია ღირსების ორდენით და მრავალი საპატიო სიგელით, არის ხაშურის მუნიციპალიტეტის საპატიო მოქალაქე. ამასთან ერთად შექმნა შესანიშნავი ოჯახი. ჰყავდა მეუღლე პროფ. ლალი ბრეგვაძე, ორი ვაჟიშვილი და ოთხი შვილიშვილი.

ბ-ნი ლევანის შესახებ ყველაფრის მოყოლა შეუძლებელია, თუმცა ეს მცირედი მასალაც იძლევა იმის საშუალებას, დავასკვნათ, რომ იგი ღირსეული მეცნიერია და, ამავე დროს, თანაკურსელთა და მეგობართა სიამაყეს წარმოადგენს.

ვუსურვებთ ბ-ნ ლევანს ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს.

თანაკურსელები: ლამარა არგანაშვილი, გოგი ახობაძე, ანზორ ადეიშვილი, დემნა ბლიაძე, გურამ ბერიშვილი, სულიკო ჯაყელი, ვახტანგ ვარდიაშვილი, დათო იმნაიშვილი, მაყვალა კუჭავა, მადლენა კიღურაძე, ელიზბარ ლომინაძე, რეზო ოგოლაძე, თამაზ ქურდიანი, ლერი ჭოჭუა.

გოლიათის გოლიათური ხმა

დედას ლევანა (ლევან ასაბაშვილი)

ყურს ჭრის ლითონისებური ხმის სიძლიერე, გულმკერდიდან ამოვარდნილი უცნაური ხმა, რაღაც ზეციურს და ზღაპრულს ჩამოჰგავს. ამას მოსდევს ხალხური სიმღერის ცნობილი სიტყვები: „ბერიკაცი ვარ, ნუ მომკლავ...“ ამ სასწაულს ემოციის გარეშე ვერ ვისმენ. გაკვირვებულმა ყურთასმენა დავძაბე, რათა კარგად აღმექვა მომღერლის გულიდან ამონაკვნესი თუ განგების ძალით ყელიდან ამოხეთქილი ღვთიური ხმა. ეს შილდელი **დედას ლევანა (ლევან ასაბაშვილი)** მღეროდა.

იმწამს გონებაში ამოტივტივდა უდიდესი იტალიელი ტენორი ენრიკო კარუზო, თავისი ფენომენური ხმის სიძლიერით, რომლის შესახებაც თანამედროვეები წერდნენ, რომ თითქოს მან მაღალი ნოტის აღების დროს იქვე ახლოს დაკიდებული ჭაღი ჩამოაგდო და დაამსხვრია, ერთი ჩასუნთქვით შეეძლო მკერდით როიალის რამდენიმე სანტიმეტრით გადაწევა. ანატომიური კვლევების შედეგად დადგენილია, რომ კარუზოს სახმო იოგების სიგრძე 23 მილიმეტრს შეადგენდა, იმ დროს, როდესაც ჩვეულებრივი მომღერლების იოგები არ აღემატებოდა 16-17 მილიმეტრს. ერთი მეტრის მანძილზე იგი ანვითარებდა მომღერლისთვის მიუღწეველი ხმის ძალას — 140 დეციბალს. სპეციალისტებმა დაითვალეს, რომ მისი ხმის ვიბრაცია შეადგენდა 560 რხევას წამში. ხმის ასეთი რხევის სიხშირით შესაძლებელია ფანჯრის მინის დამსხვრევაც კი. ამიტომ იყო, რომ კარუზოს ფორტე პარტნიორებს აიძულებდა მისგან მოშორებით ყოფილიყვნენ. დედას ლევანას ყელის იოგების სიგრძე და ხმის რხევის სიხშირე ვინმეს რომ გაეზომა, იქნებ ლეგენდარული კარუზოს რეკორდიც კი მოეხსნა. მისი შვილი შაქრო ასაბაშვილი იგონებს: „ის რომ სიმღერას შემოსძახებდა, მაგიდაზე ლამპა ქრებოდა... თბილისში მისი სიმღერის ჩაწერის დროს თურმე გრამოფონის ფირი გასკდა“. დედას ლევანას შვილიშვილი მანია ასაბაშვილი ყვება პაპა ლევანას ნათქვამს: „ქალებს წინ ნუ დამისვამთ ხოლმე, პირს რომ ვაღებ, ეშინიათო“. 81 წლის მოხუცი გიორგი მიჩილაშვილი ამბობს: „ხალხში ახლაც არის თქმულება — შილდაში დედას ლევანა რომ დასძახებდა, ართანაში ყარალაშვილები ბანს ეუბნებიანო“. რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი, ცნობილი საესტრადო მომღერალი მერი შილდელი გადმოგვცემს: „ის რომ „ბერიკაცი ვარ“ შემოსძახებდა, ისეთი სიძლიერისა იყო, სახლიდან გარეთ გავრბოდით. ასეთი „ბერიკაცი“ სხვაგან არსად მომისმენია. ისე მღეროდა, ისე ბუხუნებდა, თითქოს ვინმეს ეჩხუბებოდა, ნუ მომკლავო! ხშირ წარბებს წინ წამოსწევდა, ბუნებით მსახიობი იყო, ნამდვილი მსახიობი. ოღონდ უსწავლელი. ისიც კი არ იცოდა, რა არის „მსახიობობა“. ცნობილია ფაქტი, რომ გრამფირფიტაზე ჩაწერის დროს, დედას ლევანას ანსამბლის წევრებიდან მეტრნახევარი, ორი მეტრით უკან აყენებდნენ, მათი ხმები რომ არ გადაეფარა.

უამრავი საიდუმლოება აქვს ბუნებას. რომელ სხეულში ჩასახლდება და რომელ პიროვნებას დაუმეგობრდება ნიჭი, ჯერ არავის ამოუხსნია. ქართულმა ხალხურმა ხელოვნებამ არაერთი დიდოსტატი და ბრწყინვალე შემსრულებელი იცის, საყოველთაო ქება-დიდების საგნად რომ ქცეულან სიცოცხლეშივე. დედას ლევანას პიროვნება კი ბუნების განსაკუთრებულ, უნივერსალურ შემთხვევას განეკუთვნება.

ლევან ასაბაშვილი (დედას ლევანა) 1856 წელს დაიბადა ყვარლის რაიონის სოფელ შილდაში. ცხრა წლისა თურმე ისევ ძუძუს წოვდა. სოფლის მცხოვრებლები იცინოდნენ: მოწოვოს, მოწოვოს, რათა დედას ლევანა გაუზარდოს და კარგად ჰყავდესო! სწორედ აქედან დაერქვა მას ზედმეტსახელი — დედას ლევანა. ვინ იცის, იქნებ ამანაც განაპირობა მისი გოლიათური აღნაგობა და ფენომენური ხმა. იმ დროს რა იცოდნენ მისმა თანამემამულეებმა, რომ მომავალში დედას ლევანას სახელი საუკუნეს გადასწვდებოდა.

პატარა ლევანი უფროსებს ხშირად დაჰყვებოდა სახნავ-სამკალში, მათ მიერ გაბმულ „ჰოოპუნას“ თავისი წკრიალა ხმით უერთდებოდა. — ამ ბიჭს ბულბულის ყელი უჩანსო, იტყოდა ერთი. ნახე თუ ოსტატ ალექსის ჩამორჩესო, დაუმოწმებდა მეორე — დედას ლევანა ასაბაანებს დაამშვენებსო — დაუდასტურებდა მესამე. სკოლაში არ უსწავლია. ერთი უსწავლელი გლეხკაცი იყო. მის ერთადერთ სპეციალობას სიმღერა წარმოადგენდა. შილდაში და ახლომახლო სოფლებში ლხინი არ იმართებოდა დედას ლევანას გარეშე. მის აუდიტორიას უბრალო, მშრომელი ხალხი შეადგენდა. გატაცებით მღეროდა„ჩაკრულოს“, „სუფრულს“, „ბერი კაცი ვარ“-ს, „ხევსურულს“, „მრავალჟამიერს“, „შავლეგოს“ და სხვ. გასაოცარი ხმით ყველას ხიბლავდა. მის შესანიშნავ სიმღერაში მკერდგაშლილი კახური ვაზის მადლი და მშობლიური კახური ღვინის სიძლიერე იგრძნობოდა.

ჩვენი გენიოსი ნიკალა (ნიკო ფიროსმანაშვილი) ერთ ჭიქა არაყზე მთელ დუქანს მოხატავდა. დედას ლევანა კი ამბობდა: ერთი ლიტრი ღვინო დამალევინეთ, თუ გინდათ, რომ კარგად ვიმღეროო. და მღეროდა გულით, ძლიერად, შინაგანი შთაგონებით, იმიტომ რომ ემღერებოდა. სიმღერის დასასრულ კი ჩვეად ჰქონდა ხმამაღლა წამოძახება სიტყვებისა „თქვენი გულისა“. მასთან მეგობრობდნენ ცნობილი პოეტები: ტიციან ტაბიძე, გიორგი ქუჩიშვილი, მწერალი იოსებ მჭედლიშვილი, პუბლიცისტი ივანე გომართელი და მოხეტიალე მუსიკოსი ილიკო ქურხული. სწორედ მისი სიმღერით მოხიბლულმა ტიციან ტაბიძემ მიუძღვნა ცნობილი სტრიქონები — „შილდაში მღერის დედას ლევანა და ართანაში ყარალაშვილი“. ამ ორმა დიდებულმა მომღერალმა, შილდელმა დედას ლევანამ და ართანელმა რევაზ ყარალაშვილმა ხალხის ხსოვნასა და პოეტის ლექსში დაიმკვიდრა სამარადჟამო სახელი. სამწუხაროდ, ყარალაშვილის ხმა არ ჩაწერილა, იგი მხოლოდ თანამედროვეთა მოგონებას შემორჩა, ლევან ასაბაშვილის ხმა კი, „გრამაფონ კომპანიმ“ ჩაიწერა თბილისში 1912 წელს და გრამფირფიტაც გამოსცა. ჩანაწერი ჩვენმა ამაგდარმა ლოტბარმა ანზორ ერქომაიშვილმა მოიძია მოსკოვისა და ლონდონის არქივებში და დღევანდლამდე მოიტანა.

ზაქარია ფალიაშვილი კახური სიმღერების მოსაძიებლად და ჩასაწერად შილდაში ჩავიდა 1908 წელს. აი, როგორ ახასიათებს დიდი კომპოზიტორი დედას ლევანას სიმღერას: **„ორი-სამი ჭიქა ღვინის გადაკვრის შემდეგ დაიწყეს სიმღერა, მაგრამ რა სიმღერა! მე ამისთანა მწყობრად შესრულებული კახური სიმღერა ჯერ არ გამიგონია. სანიორის მომღერლები ხომ კარგები იყვნენ, მაგრამ შილდელებმა ბევრად აჯობეს. იმათში განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ: ლევან ასაბაშვილი (მეტსახელად „დედას ლევანა“), ბათო როსტომაშვილი, ალექსი ელოშვილი და ლაზარე კოკილაშვილი... „დედას ლევანა“ მღერის როგორც მოძახილს, ისე დამწყებსაც, მომეტებულად კი მოძახილს, მაგრამ ამ დევკაცს ბუნებით ისეთი მშვენიერი გავარჯიშებული დიდი ხმა (ტენორი) აქვს, რომ მე ვგონებ, ბევრი ჩვენი ოპერის მომღერალიც არ დაიწუნებდა და კიდეც ინატრებდა იმისთანა იშვიათ ხმას. ამას გარდა მშვენიერი გამოთქმაც აქვს, საუცხოო მოლაპარაკეა, თამამი მიხვრა-მოხვრა, ერთი სიტყვით, ღმერთს მიუნიჭებია იმისათვის ყოველივე ის, რაც კარგი არტისტისთვის აუცილებელ საჭიროებას შეადგენდა... გადამეტებით არ ვიტყვი და ამისთანა მომღერლებს პირადად მე არასოდეს შევხვედრივარ, თუმცა ბევრი ქართველი მომღერლისთვის დამიგდია ყური. ესენი მათზე შედარებით ბევრად მაღლა დგანან, როგორც ხმით, ისე სიმღერის ცოდნით და ბუნებით, მუსიკალური სმენით. „დედას ლევანას“ და „ოსტატ ალექსის“ მსგავსი მომღერლები შესაბამის პირობებში ბრწყინვალე სამუსიკო სარბიელსაც კი დაამშვენებდნენ“.**

ეს კითხვა, როგორც პროფესიონალს, მეც დამებადა: როგორ შეიძლება განვითარებულიყო დედას ლევანას საქმიანობა ხმის დამუშავების შემთხვევაში? ისტორიამ არაერთი კარგი ხმის მქონე მომღერალი იცის, რომელიც ვოკალის დამუშავებისა და გაწვრთნის შემდეგ საშუალო დონის მომღერალიც კი ვერ გამოსულა. არის შემთხვევები, როდესაც საშუალო მონაცემების მქონეს უმაღლესი შედეგებისთვის მიუღწევია. ყველაფერ ამას უამრავი ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორი განსაზღვრავს. ამიტომ ძნელია თქმა იმისა, რომ დედას ლევანას ბრწყინვალე ხმის დამუშავების შემთხვევაში მივიღებდით იდეალურ შედეგს თუ არა. კლასიკური სიმღერისადმი მიდრეკილება და ლტოლვა ჰქონდა ჰამლეტ გონაშვილს, რომელიც რამდენიმე მცდელობის მიუხედავად, კონსერვატორიაში არ მიიღეს. კიდევ კარგი, რომ ეს ასე მოხდა, თორემ ქართული ხალხური ხელოვნება უნიკალურ მომღერალს დაჰკარგავდა, რაც უდავოდ უდიდესი შეცდომა და დანაკლისი იქნებოდა.

1927 წელს რუსთაველის თეატრის წინ გაკრული აფიშა საზოგადოებას ამცნობდა, რომ თეატრში უჩვეულო საღამო-კონცერტს გამართავდა კახეთიდან (სოფელი შილდა) მოწვეული სახელგანთქმული სახალხო მომღერალი დედას ლევანა ალექსი ელოშვილთან, მიხა ავგაროზიშვილთან და მიხო ჯიღაურთან ერთად. ისინი კახეთიდან ჩამოიყვანა მწერალმა იოსებ მჭედლიშვილმა. შესრულებული იქნებოდა შესანიშნავი კახური სიმღერები. ამ კონცერტის შესახებ გაზეთი „ზარია ვოსტოკა“ წერდა: **„კახეთში ისინი დიდი პოპულარობით და ხალხის სიყვარულით სარგებლობენ, მათ ხელუხლებლად შემოინახეს ძველთაძველი კახური სიმღერები თავიანთი უზადო სისპეტაკით და მომხიბლაობით... აღსანიშნავია, რომ ამ კონცერტის მოწყობაში აქტიური მონაწილეობა მიუღია დიდ ქართველ რეჟისორს სანდრო ახმეტელს. კონცერტის ვოკალური ნაწილით ძალიან დაინტერესებულან კომპოზიტორები: ზ. ფალიაშვილი, დ. არაყიშვილი, მ. ბალანჩივაძე, კ. ფოცხვერაშვილი...“**

არაერთი ცნობილი ადამიანის შეფასების, პუბლიკაციის თუ აღფრთოვანების საბაბი გამხდარა ლეგენდად ქცეული დედას ლევანას პიროვნება:

გიორგი ჯავახიშვილი: „დედას ლევანა“ არა მარტო კარგი ხმის პატრონი და კარგი მომღერალი, არაჩვეულებრივი მსახიობიც იყო. მისი მიხვრა-მოხვრა, ჩაქვითინება, ჩარაკრაკება, ზეამოწევა და ხელის გაქნევა — „თქვენი გამარჯვებისა იყოს“ — ხალხს აგიჟებდა“.

ილია ზურაბიშვილი: „უსმენთ **„დედას ლევანას“ შესრულებით კახური „მრავალჟამიერის“ სრულიად განსხვავებულ, დღემდე უცნობ ვარიანტს და განცვიფრებთ არა მარტო მისი ხმის დიდი დიაპაზონი, სიძლიერე და სილამაზე, არა მარტო მისი განსხვავებული სასიმღერო მანერა, არამედ ძარღვიანი მგზნებარებით და მხნეობით გადმოცემული სრულიად სავსე პათოსი. მისი „მრავალჟამიერი“ სრული სურათია ნადიმისა, დარბაისლურ, გრძნობათა ზეაღმაფრენ ჰიმნს უფრო ჰგავს, ვიდრე მხოლოდ სასიმღერო ჰანგს“.**

ანზორ ერქომაიშვილი: **„მახსოვს როცა მოსკოვში ხმის ჩამწერ სტუდიაში „დედას ლევანას“ ხმა აღვადგინეთ და ავაჟღერეთ, მეზობელი სააპარატოებიდან სპეციალისტებმა სირბილით მოგვაშურეს და განცვიფრება ვერ დამალეს. იგივე მოხდა ლონდონშიც, სადაც არქივის თანამშრომლებმა მისი საოცარი ხმა ჩაიწერეს. როცა ლონდონის ფონოარქივს ვტოვებდით, რამდენიმე სააპარატოდან „დედას ლევანას“ მჭექარე „მრავალჟამიერი“ ისმოდა“.**

დედას ლევანას კვალდაკვალ შილდაში ნამყოფმა სტეფანე მხარგრძელმა მას ასეთი სიტყვები მიუძღვნა:

„მღერის შილდაში დედას ლევანა და
მისი ჭექა სწვდება ართანას,
მე უსიმღეროდ ვერსად ვერ წავალ,
ისე ვერ მივალ გულის ვარდთანა.
ისე ვერ დავლევ ნაფარეულსა და
ვერც ალაზნის გაღმა გავივლი,
ისე ხომ გული გაგარეულდა და
სიყვარულის გახმა ყვავილი.
მღერის შილდაში დედას ლევანა და
დედას პურებს თონიდან ყრიან,
ორივეს ვსახავ სულის მტევანად,
რადგანაც დედის სახელი ჰქვიათ“.

დედას ლევანამ ხანდაზმულ ასაკამდე იცხოვრა, იგი 1934 წელს გარდაიცვალა 78 წლის ასაკში. ამბობენ, სიკვდილის წინაც შემოსძახა „მრავალჟამიერი“ თავისი შთამბეჭდავი და გაუბზარავი ხმითო. რაოდენ დიდია მისი განუმეორებელი და მომაჯადოებელი სიმღერის ძალა და მადლი. მის ღვთიურ და ანდამატურ ხმას დღეს აღტაცებაში მოვყავართ, არასოდეს გახუნდება, თაობებს და საუკუნეებს გადაეცემა, როგორც ბუნებისგან ნაბოძები ადამიანის ზღაპრული ხმის სიმბოლო. და დღეს ყოველივე ამის შემქმნელი და შემოქმედი მშვიდად განისვენებს საქართველოს ერთ-ერთი ულამაზესი კუთხის — ყვარლის რაიონის სოფელ შილდის ეკლესიის ეზოში. ნათელში ამყოფოს უფალმა მისი სული!



გელა ძოძიაშვილი,
საქართველოს კულტურის დამსახურებული მუშაკი, ეკონომიკის დოქტორი, ვანო სარაჯიშვილის ფონდის ვიცე-პრეზიდენტი

◎ მწვრთნელი

კახა კაჭარავა: „ფეხბურთელი, რომელიც რამდენჯერმე დაჯარიმდება, გუნდს დატოვებს“

თბილისის „დინამოს“ ბაზაზე მთავარი მწვრთნელი კახა კაჭარავა წარადგინეს. „დინამოს“ ახალმა თავკაცმა სამომავლო გეგმებზე ისაუბრა. მისი თქმით, ახალგაზრდა ფეხბურთელებს, რომლებიც „დინამოს“ აკადემიის აღზრდილები არიან, მთავარ გუნდში სათამაშოდ შანსი უნდა მიეცეთ.

გარდა ამისა, კაჭარავამ დისციპლინაზე, გუნდში შემოღებულ ჯარიმებზე და საბა ლობჟანიძის საკითხზე ისაუბრა:

„ძალიან მიხარია „დინამოში“ დაბრუნება. აქ იმისთვის მოვედი, რომ გუნდს მაშინ დავუდგე გვერდში, როდესაც დავჭირდები. არიან პერსპექტიული ახალგაზრდა ფეხბურთელები, რომელთა დიდი იმედი მაქვს. 3-4 წლის წინათ „დინამოს“ სხვა გეზი ჰქონდა აღებული, მაგრამ ახლა სხვა აქვს – იმ ფეხბურთელებს, რომლებიც „დინამოს“ აკადემიის აღზრდილია, მთავარ გუნდში თამაშის შანსი მიეცემა.

ფეხბურთში მე მხოლოდ ფულს არ ვუყურებ – არსად ისე არ მიმუშავია, რომ უკან დაბრუნების გზა მომეჭრა. ყველგან ასე ვიმუშავე.

რაც შეეხება საბა ლობჟანიძის საკითხს – პირდაპირ ვამბობ, რომ მე მინდა გუნდში ისეთი ფეხბურთელი, რომელსაც „დინამოში“ თამაში უნდა. მე არ ვიცი, ვინ როგორ უყურებს, მაგრამ ჩემთვის ასეა. ჩემთვის ყოველთვის მიზანი იყო, რომ თბილისის „დინამოში“ მეთამაშა. ასე უნდა იყვნენ ეს ბავშვებიც. თუ გახსოვთ, საბა საქართველოს 19 წლამდე ნაკრებში პირველად მე მივიწვიე.

ჯარიმებს რაც შეეხება – ეს აქ არ მომიგონია. ჯერ კიდევ „დინამოში“ ძველად ყოფნის დროს მქონდა, იგივე „ზესტაფონში“. მე თუ ფეხბურთელთან ჯარიმების გამოყენება რამდენჯერმე მომიწევს, ის ფეხბურთელი ჩემთან ვეღარ იმუშავებს. იმედია, ამ ჯარიმების გამოყენება არ მომიწევს. აქვე გეტყვით, რომ ყველანაირ აზარტულ თამაშს ვკრძალავ, მათ შორის კარტსაც. ღამის ოთხ საათამდე ჯოკერს რომ ითამაშებ, მერე რაღა უნდა ივარჯიშო. აქამდე შემიმჩნევია ფეხბურთელები, რომლებიც ასე იქცეოდნენ. ამიტომ ეს აღარ მოხდება, არ მიმაჩნია მიზანშეწონილად“, – განაცხადა „დინამოს“ მთავარმა მწვრთნელმა.

გიორგი ზოთაძე

◎ ცურვა

მსოფლიო და ევროპა ბრესტიდან გამოჩნდება

თბილისის, ბათუმის, რუსთავის, ჭიათურის, საჩხერისა და ბაქოს 130 წარმომადგენელი მონაწილეობს მოცურავეთა საქართველოს ზამთრის ღია ჩემპიონატში, რომელსაც საწყლოსნო კომპლექსი „ოლიმპიკი“ მასპინძლობს. ასპარეზობის დამთავრებისთანავე საქართველოს ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრები გუნდების 11 წევრი ორ მწვრთნელთან ერთად სომხეთში გაემგზავრება და წახკაძორში 20-დღიან საწვრთნელ შეკრებას გაივლის. აპრილის ბოლო კვირას კი ისინი ბრესტში ბელარუსის ღია ჩემპიონატში გამოვლენ, რომელიც საერთაშორისო სალიცენზიო ტურნირიცაა – იქ უფროს ასაკში მსოფლიოს (ბუდაპეშტი, 22-30 ივლისი) და ახალგაზრდებში ევროპის ჩემპიონატების (ისრაელი, 28 ივნისი-2 ივლისი) საგზურები გათამაშდება.

დაჯილდოებისას

„ოლიმპიკში“ ორი დღის პაექრობების შემდეგ პირველ ადგილებზე გავიდნენ:

ქალები. **ბრასი. 50 მ.** სალომე კესარელი (36,63, „გლდანი“), **200 მ.** რუსუდან გოგინაშვილი (2:44.51, რუსთავი), **ბატერფლაი. 100 მ.** თამარ მჭედლიძე (1.12,50, „არენა“), **200 მ.** მარიამ ხუტუნიშვილი (2:54.67, ჭიათურა), **თავისუფალი ყაიდა. 100 მ.** ელენე ბერაია (1:02.35, „ტონუსი“), **200 მ.** თინათინ კევლიშვილი (2.19,19, „არენა“), **800 მ.** ნინო ხუტუნიშვილი (11:28.06, ჭიათურა), **1500 მ.** ქრისტინე ჭიტაძე (22.56,03, ჭიათურა), **გულაღმა ცურვა. 50 მ.** მარიამ ხუტუნიშვილი (33.40, ჭიათურა), **200 მ.** კატო პაპასკირი (2.40,71, „ტონუსი“). **კომპლექსური ცურვა, 400 მ.** თამარ გვიმრაძე (6:15.43, ჭიათურა).

ვაჟები. **ბრასი. 50 მ.** ლევან ბახტურიძე (30,11, საჩხერე), **200 მ.** ლევან ბახტურიძე (2:31.65, საჩხერე), **ბატერფლაი. 100 მ.** თემურ კობახიძე (56,03, „დიღომი“), **200 მ.** აკაკი ვაშაკიძე (2:08.61, რუსთავი), **თავისუფალი ყაიდა. 100 მ.** ალექსანდრე ლომიძე (54.79, „ვაკე“), **200 მ.** ირაკლი კვარაცხელია (2.00,01, „ტონუსი“), **800 მ.** თემურ კობახიძე (9:02.21, „დიღომი“), **1500 მ.** ლუკა პატარაია (20.20,84, რუსთავი), **გულაღმა ცურვა. 50 მ.** აკაკი ვაშაკიძე (28.73, რუსთავი), **200 მ.** აკაკი ვაშაკიძე (2.19,03, რუსთავი), **კომპლექსური ცურვა, 400 მ.** რუსლან დუნიამალიევი (6:01.13, ბაქო).

შეჯიბრება დღეს დამთავრდება.

ლაშა დიდია.

◎ მძლეოსნობა

„სპორტის დედოფალი“ ბელგრადსა და თბილისს ეწვია

სიგრძეზე ხტომაში ახალგაზრდებს შორის ევროპის მესამე პრიზიორმა და რიოს ოლიმპიადის მონაწილე ბაჩანა ხორავამ ბელგრადში ბალკანეთის ქვეყნების მძლეოსანთა ზამთრის ღია ჩემპიონატში იასპარეზა და 7,40 მეტრით მეხუთე ადგილი დაიკავა. სერბეთის დედაქალაქშივე იგი ევროპის ზამთრის ჩემპიონატშიც გამოვა. თბილისში კი 2001-2002 წლებში დაბადებულმა ქართველმა ათლეტებმა მძლეოსნობის სასახლეში დედაქალაქის ზამთრის ღია ჩემპიონატში მოსინჯეს ძალები. კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ:

ბაჩანა ხორავა.

გოგონები

მარი ლალიაშვილი (60 მ. ქუთაისი, 8,63), ბელა ჭკადუა (200 მ. ზუგდიდი, 27,58), ბელა ჭკადუა (400 მ. 1.03,19), ჰასმიკ მარქარიანი (800 მ. ახალციხე, 2.32,98), მარი ფხალაძე (1500 მ, ჭიათურა, 4.58,39), მარი ფაცაცია (3000 მ, ვანი, 13.56,4). მარიამ ჭეჭელაშვილი (60 მ/თარჯრბენი, 13,31). ნათია მწითური (სიმაღლე, 155), ლიზი ხუსკივაძე (სიგრძე, სამივე – თბილისი, 4,82), გურანდა გაბიტაძე (სამხტომი, აჭარა, 9,92), სალომე ინჯგია (ჭოკი, 3,00), სალომე ჩახვაშვილი (ბირთვი, 10,50), ანამარია გაბუნია (ბადრო, 32,45), ნია კაპანაძე (შუბი, 27,33), სალომე ჩახვაშვილი (ურო, ყველა – თბილისი, 49,94).

ვაჟები

ლუკა ღონღაძე (60 მ, ბორჯომი, 7,60), ლაშა კირკიტაძე (200 მ, ქუთაისი, 24,55), ლაშა კირკიტაძე (400 მ, 56,10), თემურ მამედოვი (800 მ, 2.07,67), სანდრო თვალავაძე (1500 მ, 4.34,56), სანდრო თვალავაძე (3000 მ, 10.04,66), მაქსიმ მარდასოვი (60 მ/თარჯრბენი, ყველა – თბილისი, 11,56), ლუკა ივანეიშვილი (სიმაღლე, ქუთაისი, 175), გოგა კარდაშიანი (სიგრძე, თბილისი, 6,29), რევაზ გოგოტიძე (სამხტომი, ოზურგეთი, 8,91), ნიკოლოზ ბოსტოღანაშვილი (ჭოკი, 3,20), თემურ იაშვილი (ბირთვი, 13,03), საბა ზებედაშვილი (ბადრო, 40,73), სანდრო მარუთიანი (შუბი, 46,53), გიორგი კეკიშვილი (ურო, ყველა – თბილისი, 64,78).

გივი გაგუა

◎ ლეგიონერი

ტარიელ რატიანიძე ბრუნდება

საფრანგეთის მეორე ელიტურ დივიზიონ პრო დ2-ში მოასპარეზე „ნარბონის“ 37 წლის ფორვარდი ტარიელ რატიანიძე წვრთნას შეუდგაო, იუწყება ფრანგული პრესა.

ვეტერანი „ბორჯღალოსანი“ გასული წლის 26 აგვისტოს, მიმდინარე ჩემპიონატის პირველ ტურში, როცა მისი გუნდი „ბიარიცს“ სტუმრობდა, „ნარბონის“ სასტარტო მარჯვენა ბურჯად დააყენეს, მაგრამ მე-13 წუთზე უმძიმესი ტრავმა მიიღო, მოედანი დატოვა და მას მერე ამ დაზიანების მოშუშებაში იყო. რატიანიძეს მხარზე ოპერაცია გაუკეთდა და რეაბილიტაციამ მთელი ნახევარი წელი წაიღო. ახლა კი ტარიელი სრულად გამოჯანმრთელდა და მაქსიმალური დატვირთვით ვარჯიშობს.

პარასკევს „ნარბონი“ მორიგ ტურში „ორიაკს“ უმასპინძლებს, მაგრამ პრო დ2-ის ერთ-ერთი ყველაზე ასაკოვანი მორაგბე ამ მატჩსაც გამოტოვებს და მეორე დღეს, 4 მარტს ესპუარების ჩემპიონატის მატჩში მიიღებს მონაწილეობას. „ნარბონის“ ჭაბუკები I ჯგუფის უპირობო აუტსაიდერის, „სტად ფრანსეს“ თანატოლებს პარიზში დაუპირისპირდებიან და სტუმართა შორის მამისტოლა ტარიელ რატიანიძეც იქნება, ოღონდ არა ბურჯის პოზიციაზე, არამედ შერკინების მეორე ხაზში, სადაც ახალმოშუშებული მხარი ნაკლებად დაიტვირთება. თუმცა, შემდგომში მწვრთნელები ძირითად გუნდში მას კვლავ პირველ ხაზში ათამაშებენ.

ცნობისთვის, რატიანიძე უნივერსალი მორკინალია, რომელსაც საქართველოს ნაკრებშიც უთამაშია როგორც ბურჯად, ისე მეორე ხაზშიც. აქვე ტარიელის განვლილი კარიერის მოკლე მიმოხილვაც: „ნარბონი“ მისთვის მე-6 ფრანგული კლუბია. მანამდე იყო „ბეზიე“, „ლიონი“, „დაქსი“, „აჟენი“ და „მონ-დე-მარსანი“. რაც შეეხება საქართველოს ნაკრებს, ბორჯღალიანი მაისური ტარიელ რატიანიძეს 17-ჯერ აქვს მორგებული.

კობა კობახიძე

◎ ჩოგბურთი

სენსაცია დუბაიში



დუბაის ტურნირის 1/8-ფინალში დიდი სლემის 18-გზის ჩემპიონი, შვეიცარიელი როჯერ ფედერერი სენსაციურად, რეიტინგის 116-ე ნომერთან, რუს ევგენი დონსკოისთან 6:3, 6:7, 6:7 დამარცხდა.

პირველ სეტში როჯერმა მარტივად იმარჯვა. მეორე პარტიაში ვერც ერთმა ჩოგბურთელმა ბრეიკის შესრულება ვერ მოახერხა და სეტის ბედი ტაი-ბრეიკმა გადაწყვიტა, სადაც ფედერერი 5:2-ს იგებდა და შემდეგ სამი მატჩ-პოინტიც ჰქონდა, თუმცა, რუსმა სამივე გადაარჩინა და ევგენიმ საბოლოოდ 9:7 მოიგო.

გადამწყვეტ მესამე სეტში ყველაფერი ტაი-ბრეიკამდე მივიდა, სადაც როჯერმა თამაში დამაჯერებლად დაიწყო და 5:1 დაწინაურდა, მაგრამ შემდეგ, რაც უნდა გასაკვირი იყოს, დონსკოიმ ზედიზედ 6 ქულა აიღო და როჯერმა ვერც ერთი. რუსმა ტაი-ბრეიკი 7:5 მოიგო და კარიერაში ყველაზე მნიშვნელოვანი გამარჯვება იზეიმა.

ბადრი იაშვილი

◎ ტრავმა

ზაზა ფაჩულია: „მალე გამოჯანმრთელდი, ძმაო“

საქართველოს კალათბურთელთა ეროვნული ნაკრებისა და „გოლდენ სტეიტ უორიორზის“ მოთამაშე ზაზა ფაჩულია კევინ დიურანტის ტრავმას სოციალურ ქსელში გამოეხმაურა. ფაჩულია თანაგუნდელის დაზიანების გამო იმედგაცრუებულია და მას მალე გამოჯანმრთელებას უსურვებს:

„ჩემზე მეტად არავინაა იმედგაცრუებული კევინ დიურანტის ტრავმის გამო, მაგრამ იგი დაბრუნდება უფრო ძლიერი და ძალიან სწრაფად – მალე გამოჯანმრთელდი, ჩემი ძმაო“, – დაწერა ფაჩულიამ.

შეგახსენებთ, რომ ზაზა ფაჩულია „ვაშინგტონთან“ მატჩის დროს დიურანტს უნებლიეთ დაეჯახა და ამერიკელმა ვარსკვლავმაც ტრავმა მაშინ მიიღო. კევინ დიურანტს ოთხი კვირა გაუცდება.

ვიტალი ჯაფარიძე

ჩვენი მირონცხებული ხელმწიფენი

თამარ მეფე – საქართველოს დედა

გიორგი III-ის ასული, საქართველოს დიდი მეფე 1184-1210 წ. წ. მამამ თანამოსაყდრედ (თანამმართველად) დაისვა 1178 წელს, ხოლო 1184 წელს (მამის სიკვდილის შემდეგ) მეფეთამეფის ტიტულით ტახტზე ავიდა. გამეფებისთანავე თამარი დიდგვაროვანმა ფეოდალებმა აიძულეს, თანამდებობებიდან გადაეყენებინა „უგვარო“ ვაზირები ყუბასარი და აფრიდონი. შემდეგ მეჭურჭლეთუხუცეს ყურთლუ არსლანის „დასმა“ სცადა თამარისთვის უმაღლესი საკანონმდებლო ძალაუფლების ჩამორთმევა და საამისოდ ცალკე დაწესებულების „ისნის კარავის“ დაარსება. თამარმა მათი გამოსვლა უსისხლოდ ჩააქრო, ორი ქალბატონის ხვაშაგ ცოქალისა და კრავაი ჯაყელის მოციქულობით.

თამარის მეფობის ჟამს ქართველებმა მრავალი ძლევამოსილი ბრძოლა გადაიხადეს, მათგან ყველაზე მნიშვნელოვანი იყო: არანსა და გელაქუნს (1184 წ), კლარჯეთსა და შავშეთს (1184 წ.), კარს და ბასიანს (1185), დვინს (1186 წ.), პართიას და განძას (1187), ტაოს (1189 წ), ბარდავს, არზრუმს, გელაქუნს და არაქსის ხეობას (1193 წ.), შამქორს, განძას (1195 წ.), ამბერდს (1196 წ.), განძას, დვინს (1202 წ.), არტაანს, ადარბადაგანს (1203 წ.), ხლათს (1204 წ.), კარს, ლაზიკა-ბიზანტიას, ბასიანს (1204 წ.), არჭაშს, არდაველს (1208 წ), სპარსეთს (1209 წ) ლაშქრობები.

თამარის დროს საქართველოს საზღვრები გაიწია ჩრდილოეთით ნიკოფსიიდან დარუბანდამდე, სამხრეთით – სინოპიდან არდაველამდე. საქართველოს საზღვრებში შედიოდა საკუთრივ საქართველო, სომხეთი, შირვანი, ადარბადაგანი, არზრუმის და ერზინკის საამიროები, ხლათის და განძის სასულთნოები, ქაშაგეთი (ჩერქეზეთი), ოვსეთი, დურძუკეთი, ღუნძეთ-ლეკეთი... თამარის მეფობა საქართველოს ისტორიის „ოქროს ხანა“ იყო: თამარის ეპოქამ შვა „ვეფხისტყაოსანი“. აიგო უამრავი ეკლესია-მონასტერი, ხიდი და ციხე-სიმაგრე.

გარდაიცვალა1210 წელს, 44 წლისა (სხვა ვარაუდით 1213, ან 1207 წ.) დაკრძალეს გელათს. დარჩა ორი შვილი ლაშა გიორგი და რუსუდანი.

გიორგი IV ლაშა

საქართველოს მეფე 1210-1222 წ.წ. დიდი თამარის ძე. 12 წლისა დედამ თანამოსაყდრე მეფედ დაისვა 1206 წელს, დავით სოსლანის გარდაცვალების შემდეგ. გამეფებისთანავე გიორგის განუდგა განძის ათაბაგი. გიორგი განძას მიუხტა, დაამარცხა და დახარკა. 1219-1220 წლებში ხელახლა დაიმორჩილა ნახიჭევანი, ხლათი და კარნუ ქალაქი (არზრუმი). მას ევროპაში უწოდებდნენ „ქრისტიანობის ბურჯს“, „ახალ ალექსანდრე მაკედონელს“, რომის პაპმა ჰონრინიუს III-ემ მიიწვია ჯვაროსნულ ომში. ლაშა-გიორგი გამალებით ემზადებოდა ამ ლაშქრობისთვის, მაგრამ ამ დროს, მოულოდნელად, საქართველოში მონღოლები შემოიჭრნენ. 1220 წელს გამართულ ბრძოლაში, რომელსაც გადამწყვეტი შედეგი არ მოჰყოლია, ლაშა დაიჭრა, დასნეულდა და 1222 წელს გარდაიცვალა.

ლაშა თავისუფალი აზროვნებისა და ყოფაქცევის კაცი იყო. უყვარდა ბოჰემური ცხოვრება, ახლო ურთიერთობა ჰქონდა რინდებთან (მუსლიმან მისტიკოს ფილოსოფოსებთან), პოეტებთან, მსახიობებთან, ველისციხელ აზნაურს ცოლი წაართვა, ოღონდ მისი შერთვის უფლება სამეფო კარმა და ეკლესიამ არ მისცეს. მისგან შეეძინა ძე, მომავალი მეფე დავით VII ულუ.

რუსუდანი

თამარის ასული, ლაშა-გიორგის უმცროსი და. საქართველოს მეფე 1222-1245 წ.წ. დედისგან საარაკო სახიერება დაჰყვა. ცოლად გაჰყვა კარნუ ქალაქის (არზრუმის) სულტნის ძეს, მოღისს ედდინს, რომელიც ქორწინების პირობის თანახმად გაქრისტიანდა. მისგან შეეძინა ასული თამარი და ძე, მომავალი მეფე დავით VI ნარინი. რუსუდანს ტახტი ძმამ, ლაშა-გიორგიმ უანდერძა. ამ ანდერძით რუსუდანს ევალებოდა, აღეზარდა ლაშას უკანონო ვაჟი დავითი და მომავალში ტახტი მისთვის გადაებარებინა. რუსუდანმა ანდერძი დაივიწყა და ძმისწული თავის სიძესთან – თამარის ქმართან ყიამს ად-დინ ქაიხოსრო II-სთან გაგზავნა და დილეგში ჩააგდებინა, ხოლო საქართველოს ტახტის მემკვიდრედ თავისი 5 წლის ვაჟი – დავით რუსუდანის ძე გამოაცხადა.

რუსუდანის მეფობის დროს საქართველოს ჯერ ხვარაზმშაჰი ჯალალ ად-დინი შემოესია. 1225 წელს გარნისთან ქართველებმა ომი წააგეს, ჯალალ ად-დინმა ტფილისი აიღო და მისი ასი ათასი მცხოვრები ამოწყვიტა. მან კიდევ ხუთი წელი ითარეშა აღმოსავლეთ საქართველოში, რუსუდანი კი ქუთაისში იყო გადახვეწილი. მერე მონღოლები შემოიჭრნენ და დაიპყრეს აღმოსავლეთ საქართველო. რუსუდანმა აქაც სრული უმწეობა გამოიჩინა მტერთან ბრძოლაში. შემწეობას თხოვდა რომის პაპს, შემდეგ თვით მონღოლებთან სცადა შერიგება. თავი მათ ყმად ცნო, დათანხმდა მონღოლთა ნოინების მოთხოვნას და შვილი ყაენთან გაგზავნა მეფედ დასამტკიცებლად. ორი წელი ელოდა ყარაყორუმში გადაკარგულ ვაჟს და მის ლოდინში აღესრულა 50 წლისა. დაიკრძალა გელათს.

დავით VI ნარინი

რუსუდანის ძე, საქართველოს მეფე 1230-1293 წ.წ. 1230 წელს 5 წლის დავითი რუსუდანმა თანამოსაყდრედ (თანამეფედ) გამოაცხადა და შვილი მონღოლთა ყაენთან გაგზავნა მეფედ დასამტკიცებლად. დავითი რამდენიმე წლის შემდეგ დაბრუნდა, დედას ცოცხალს ვერ მოუსწრო. ამასობაში ყარაყორუმში დავით ლაშას ძეც ჩავიდა საქართველოს ტახტის საძიებლად. 1249 წელს მანგუ ყაენმა ორივე დავითი დაამტკიცა საქართველოს მეფეებად: დავით ლაშას ძე „ულუ“ (უფროსი) – დავით VII და დავით რუსუდანის ძე „ნარინი“ (უმცროსი) – დავით VI.

1258 წ. დავით ნარინი ჰულაგუ ყაენს გადაუდგა და დასავლეთ საქართველოში გამაგრდა. ამიერიდან საქართველოში ორმეფობა დაიწყო. 1261 წელს დავით ნარინმა პატივით მიიღო ყაენისგან განდგომილი დავით ულუ, მერე მათ შორის უთანხმოება ჩამოვარდა, დავით ულუს „დასი“ ნარინს ჩამოგდებას უპირებდა. მაგრამ ისევ შეთანხმდნენ და საქართველო კვლავ ორად „გაიყვეს“. დავით ნარინი მფარველობდა და უკავშირდებოდა ყველას, ვისაც საომარი მდგომარეობა ჰქონდა მონღოლთა ყაენთან. დავითს განუდგა რაჭის ერისთავი კახაბერ კახაბერისძე. მან გადაიბირა დავითის მიერ შეფარებული ყაენის მოქიშპე ღალღური, ყაენს შეარიგა და ორჯერ მონღოლთა ლაშქარიც შეუსია ქუთაისს (1275, 1278 წ.წ.). მალე კახაბერისძემ პატიება ითხოვა, დავითმაც აპატია, თუმცა მალე ისევ გამუღავნდა კახაბერისძის ღალატი. მაშინ მეფემ მას თვალები დასთხარა, ცალი ხელი და ფეხი მოკვეთა და მისი ორივე ვაჟი კონსტანტინოპოლს გააძევა.

ნარინის დროს პონტო-ტრაპეზუნტის მხარე (თამარისგან დაარსებული „ტრაპიზონის იმპერია“) ბიზანტიამ დაიპყრო. დავითმა პონტო-ტრაპეზუნტის ქვეყანას ჯარი შეუსია, ბიზანტიელები განდევნა და ეს ძველი ქართული ქვეყანა ისევ საქართველოს დაუქვემდებარა. დავითი სიკვდილამდე დარჩა აზიელ ხელმწიფეთაგან ერთადერთი, რომელიც მონღოლებს არ ემორჩილებოდა და თავის სამეფოს დამოუკიდებლად განაგებდა.

გარდაიცვალა 1293 წელს, 68 წლისა. იყო საშუალო ტანის, ხმელი, ფერმკრთალი, შესანიშნავი ცხენოსანი, მკვირცხლი და ფეხმარდი. დაკრძალულია გელათში.

დავით VII ულუ

გიორგი IV ლაშას ძე, თამარ მეფის შვილიშვილი, საქართველოს მეფე 1247-1270 წლებში. ლაშამ მისი აღზრდა დას რუსუდანს უანდერძა. რუსუდანს ტახტი ძმისწულისთვის უნდა გადაეცა. მაგრამ მამიდამ მის ნაცვლად მეფედ თავისი ძე გამოაცხადა, ძმისწული კი თავის სიძეს (თამარის ქმარს) რუმის სულტანს ყიას ედ-დინ ქაიხოსრო II-ეს გაუგზავნა და დილეგში ჩააგდებინა, სადაც მან 7 წელი გაატარა და სიკვდილს ძლივს გადაურჩა. ბოლოს ქართველმა ერისთავებმა მოიკითხეს, მონღოლი ნოინების დასტურითა და ხელშეწყობით გაათავისუფლეს და მეფედ დასვეს. ეს მონღოლთა ყაენს უნდა დაემტკიცებინა და დავით ლაშას ძეც დაადგა მონღოლეთის გზას. ჯერ მათო ყაენთან გამოცხადდა ვოლგაზე. მათომ ქართველები ალეერსიანად მიიღო, დავითის მეფობას დასტური მისცა და სარგის თმოგველთან ერთად ყარაყორუმს გაუშვა. იქ მას ტახტის საძიებლად მასზე ადრე წასული მამიდაშვილი დავით რუსუდანის ძე დახვდა. 1249 წელს მანგუ ყაენმა ორივე დაამტკიცა საქართველოს მეფედ: დავით ლაშას ძე, ანუ დავით ულუ (უფროსი) და დავით რუსუდანის ძე, ანუ დავით ნარინი (უმცროსი). აქ იგულისხმება ასაკობრივი უფროს-უმცროსობა, თორემ სამეფო თანრიგით პირველი დავით VI ნარინი (რაკი დედამ გამეფა უფრო ადრე – 1230 წ.) და მეორე დავით VII ულუ იყო.

1258 წელს დავით ულუ მონაწილეობდა მონღოლთაგან ალამუთის ციხის აღებაში. მის დროს 1254 წელს მონღოლებმა აღწერეს საქართველო. 1258 წ. როცა დავით ნარინი ჰულაგუ ყაენს აუჯანყდა და დასავლეთ საქართველოში გამაგრდა, აღმოსავლეთ საქართველო დავით ულუს დარჩა. იმავე წელს დავით ულუმ თავი გამოიჩინა ბაღდადის აღებაში, მისი მეთაურობით ქართველებმა კედლის ქვეშ ხვრელი გათხარეს, ქალაქში შეიჭრნენ და მონღოლებს კარი გაუღეს. 1260 წელს ჰულაგუ ყაენმა დავით ულუ ეგვიპტეში სალაშქროდ გაიწვია. დავითმა წასვლაზე უარი თქვა, თავის ერისთავებს კი ნება დართო, ვისაც გინდათ, მონღოლებს სალაშქროდ გაჰყევითო. სარგის ჯაყელის გარდა, ყველა ერისთავი მონღოლებს გაჰყვა. ჰულაგუმ დავით ულუს წინააღმდეგ არღუნ ნოინი გამოგზავნა, რომელმაც ჯერ ცოლ-შვილი მოსტაცა დავითს, მერე მის წინააღმდეგ ლაშქრითაც დაიძრა. ტაშისკართან გამართულ ბრძოლაში 30 000 მონღოლს გვერდით ედგა მოღალატე ერისთავთაგან მოყვანილი 16 000 ქართველი. დავით ულუს და სარგის ჯაყელს მხოლოდ 8 000 მესხი მეომარი შემოემატათ. მოღალატეთა ხრიკის წყალობით არღუნ ნოინმა გაიმარჯვა. მაგრამ შემდეგი შეტაკებისას ციხისჯვართან მონღოლებმა ციხე ვერ აიღეს და უკუიქცნენ. დავით ულუ და სარგის ჯაყელი ქუთაისს გადავიდნენ. იქ მათ პატივით დახვდა დავით ნარინი. ერთხანს თანხმობით იყვნენ, მერე უთანხმოება მოუვიდათ, მაგრამ ისევ შერიგდნენ და ქვეყანა ისევ შუაზე გაიყვეს: დასავლეთი – ნარინს, აღმოსავლეთი – ულუს.

1262 წელს ჰულაგუ ყაენმა სიკვდილით დასაჯა დატყვევებული პირმშვენიერი გვანცა დედოფალი, დავით ულუს მეუღლე, ერისთავ კახაბერ კახაბერისძის ასული.

ბოლოს დავით ულუ იძულებული გახდა, ყაენს შერიგებოდა. 1263 წელს დავით ულუმ და სარგის ჯაყელმა თავი გამოიჩინეს შირვანში შემოჭრილ ჩრდილოელ (ოქროს ურდოელ) მონღოლთა წინააღმდეგ ომში. ამ დროს ულუ და ჯაყელი ერთმანეთს სამკვდრო-სასიცოცხლოდ წაიკიდნენ, ჰულაგუმ სარგისი და მისი სამთავრო თავის ხასინჯად („ხელდადებულად“, „მფარველობაში მყოფად“) გამოაცხადა. ამიერიდან სამცხე ცალკე პოლიტიკურ ერთეულად იქცა. 1265 წელს დავით ულუ და აბაღა ყაენი ერთად ებრძოდნენ მტკვრის ხეობაში შემოჭრილ ოქროს ურდოს ყაენს ბერქას. ულუს დევიზად ჰქონდა „წესადმცა არს წინამბრძოლობა ქართველთა“ და იქცეოდა ქართველთა სისხლი უცხოელთა წინაშე თავის გამოჩენისთვის. დავით ულუმ უკანასკნელად თავი ისახელა აბაღა ყაენის ბრძოლაში ბარახა ყაენის წინააღმდეგ – 1269). იყო ტანად ახოვანი, ჯანღონიერი, მოისარი, ენაკვეთილი, უაღრესად მალემრწმენი.

დავით ულუ გარდაიცვალა 1270 წელს 55 წლის ასაკში „მუცლის სალმობით“. დაკრძალეს მცხეთას.



შეკრიბა სანდრო ალექსიძემ

(გაგრძელება იქნება)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №236, 241 (2016), №2,8, 20-21,33, 39.

დევიდ რობსონის ხსოვნას

90-იანი წლების დასაწყისში, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, საქართველოში ჩამოვიდა ახლგაზრა გეოლოგი, რომელიც „დიდი ნავთობის“ პოვნის ოცნებას დაატარებდა. ეს იყო **დევიდ რობსონი**. ოფიციალურად მას დოქტორ რობდონს ეძახდნენ, თუმცა საქართველოში მეტსახელად „ბოსი“ შეარქვეს და ეს სახელი სიცოცხლის ბოლომდე შერჩა.

დევიდი ძლიერი, ენერგიული ადამიანი იყო, ნამდვილი ლიდერი. ფლობდა უნიკალურ ნიჭს, რის გამოც ადამიანი მას ადვილად გაჰყვებოდა საქმეში, და ასეთი ადამიანების რიცხვში იყვნენ როგორც ქვეყნების პრეზიდენტები და უმაღლესი ოფიციალური პირები, ასევე უბრალო, მშრომელი ხალხი. მისი მისწრაფებები იმდენად გამომსახველი და მაინსპირირებელი იყო, რომ შეუძლებელი გახლდათ მათ მიმართ გულგრილი დარჩენილიყავი. მისი საყვარელი ფრაზა „თითოეული დღე არის ბედნიერების დღე“ და მომავლის რწმენა აბედნიერებდა ადამიანს.

მიუხედავად იმისა, რომ ბევრი დიდი კომპანია იყო ნავთობისა და გაზის საქმიანობაში ჩართული, რთულია იპოვო ადამიანი, რომელმაც თავისით ამდენის გაკეთება შეძლო. დევიდის მიერ შექმნილ კომპანიათაგან, არაერთმა მოიძია და განავითარა ნავთობისა და გაზის საბადოები ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში, მათ შორის რუსეთში, უკრაინაში, ყაზახეთში, ტაჯიკეთში, უზბეკეთში, საქართველოში და ა.შ. იყო რა ნამდვილი თავგადასავალის მაძიებელი, არასოდეს გაჩერებულა. კონკრეტულ ადგილას ნახშირწყალბადების ბუდობის აღმოჩენის შემდეგ, ნაცვლად იმისა, რომ დალოდებოდა განვითარების სამუშაოების შედეგებს, დაუყოვნებლივ სხვაგან გადაინაცვლებდა ხოლმე უფრო დიდის აღმოსაჩენად. მაგრამ საქართველოს შემთხვევაში სხვაგვარად იყო, საქართველო გამონაკლისი იყო. დევიდს გამორჩეულად უყვარდა საქართველო. ენდობოდა ქართველებს და სხვა ქვეყნებში მუშაობისას, მის გვერდით ყოველთვის იყო რამდენიმე ქართველი.

პირველად საქართველოში 1992 წელს, სამოქალაქო ომის დროს ჩამოვიდა, როცა ქვეყანა რთულ მდგომარეობაში იყო. სწორედ მისი ხელმძღვანელობით (კომპანიების „კანარგო“ და „ჯეი-ფი-ქენი“ აღმასრულებელი დირექტორი) იბურღებოდა იმ წლებში საძიებო და შემფასებელი ჭაბურღილები მთელი ქვეყნის მასშტაბით. მისი ხელმძღვანელობით განხორციელდა ნინოწმინდის საბადოს განვითარება, სადაც დღესაც ხდება ნავთობის მოპოვება, ხოლო მისი ხელმძღვანელობის პერიოდში აღმოჩენილი მანავი, კვლავაც საქართველოს ნავთობისა და გაზის მრეწველობის მომავალი შესასწავლი ობიექტია.

ნავთობისა და გაზის საბადოების ძიების გარდა, დევიდს ბევრი სასიკეთო საქმე აქვს გაკეთებული, როგორიცაა ქვეყნის მომარაგება სურსათ-სანოვაგით ომის მიმდინარეობისას, სოფლის მცხოვრებლებისთვის გაზის უფასოდ მიწოდება, სკოლებისა და საბავშვო ბაღების დახმარება, ეკლესია-მონასტრების მშენებლობაში მონაწილეობა, საქართველოს პირველი საელჩოს გახსნა ლონდონში, სტუდენტების უცხოეთში სწავლება და სხვა. დევიდი იყო ცოცხალი მაგალითი იმისა, თუ როგორი უნდა იყოს ნამდვილი ბიზნესმენი, ინვესტორი, კოლეგა და მეგობარი. ხოლო საქართველომ, თავის მხრივ, მადლიერება გამოხატა დევიდ რობსონის მიმართ, ჯერ მისთვის თელავის საპატიო მოქალაქის წოდების, ხოლო მოგვიანებით საქართველოს მოქალაქეობის მინიჭებით.

დევიდი დაუვიწყარი ადამიანი იყო. მეგობრები და კოლეგები მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან შეიკრიბნენ მისი ოჯახის წევრების გვერდით დაკრძალვის დაუვიწყარ ცერემონიაზე 2017 წლის იანვარში. მეტისმეტად უცნაურია დევიდზე წარსულ დროში საუბარი, ...და კიდევ უფრო უცნაური ისაა, რომ ამ ძალიან რთულ დროს მისი სახელის ხსენებისას ადამიანს სახეზე ღიმილი ეფინება.

მეგობრები და კოლეგები

In Memory of David Robson

In early 90s, after the collapse of the Soviet Union, an exploration geologist arrived in Georgia with a dream to find “Big Oil”. His name was David Robson. Formally he was Dr. Robson whereas in Georgia he got a nickname “bossy”, which followed him throughout his life.

David was a strong, vigorous man, a true leader. He had a unique talent of having people follow him starting from presidents and high officials ending with common workers and villagers. This was because his beliefs were so expressive and inspiring, that it was actually impossible to neglect them. His favorite quote “Every day is a happy a day” and his trust in future would really make you happy.

Although there were numerous large companies involved in oil and gas, it is difficult to find a person who has done so much on his own. Number of companies, that David created explored and developed several oil and gas fields in the former Soviet Union countries, such as Russia, Ukraine, Kazakhstan, Tajikistan, Uzbekistan, Georgia, etc. Being a real adventurer, he was always on the move. After having discovered a hydrocarbon field in a certain place, instead of staying there for a “development period”, he immediately moved somewhere else in the search of bigger oil. But Georgia was an exception. David loved Georgia deeply. He trusted Georgians and would always have them by his side while working in other countries.

He first came to Georgia in 1992 during Civil War, when the country was going through hard times. It was under his leadership (C.E.O. of CanArgo and JKX Oil & Gas), that most exploration and development wells were drilled all over the country. The field developed under his leadership - Ninotsminda is still producing oil to this day, while his discovery in Manavi will serve as the future exploration of the Georgian oil and gas industry.

Apart from searching for oil and gas, his endeavors included supplying the country with necessary food products at the time of war, providing free gas to local villagers, supporting schools and kindergartens, building monasteries, establishing the first Georgian embassy in London, training students abroad, etc. He was the living example of how one should be a real businessman, investor, colleague and a friend. And Georgia, in its turn, expressed its gratitude by granting him, initially, with the honorable citizenship of the city of Telavi and later, with the Georgian citizenship.

David Robson was an unforgettable man. Friends and colleagues all around the world gathered alongside his family members at the beautiful memorial ceremony held in January, 2017. It feels unusual to be speaking about David in the past... And it is oddly strange, that even at this painful time, mentioning his name puts a faint smile on one’s face.

FRIENDS AND COLLEAGUES
GEORGIA OIL & GAS LIMITED

სანთელი

ოთარ მიმინოშვილი

გარდაიცვალა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, გამოჩენილი ქართველი ვეტერანი წყალბურთელი **ოთარ მიმინოშვილი.**

ყმაწვილკაცობაში ის იყო იმ ლეგენდარული თბილისის „დინამოს“ წყალბურთელთა გუნდის წევრი და შემდგომ მრავალი წლის განმავლობაში მისი კაპიტანი, სადაც როგორც თანასწორმა თანასწორთა შორის, ნოდარ გვახარიასთან, გივი ჩიქვანაიასთან, ლერი გოგოლაძესთან და სხვა გამოჩენილ ქართველ წყალბურთელებთან ერთად, მწვრთნელ როსტომ ჩაჩავას თაოსნობით წყალბურთი საქართველოში სპორტის ეროვნულ სახედ აქცია, მას საქვეყნოდ გაუთქვა სახელი და ქართული სპორტის ისტორიაში მრავალი სახელოვანი ფურცელი ჩაწერა.

ქართული წყალბურთის ოდისევსი, ასე უწოდა ჟურნალისტმა არჩილ გოგელიამ ოთარ მიმინოშვილს. ის მართლაც ოდისევსივით გამოირჩეოდა ყველასგან თავისი თამაშის სტილით და პიროვნული თვისებებით, გამარჯვებისა და გოლის გატანის დაუოკებელი სურვილით. სწრაფი დრიბლინგი, ბურთის ელვისებური ტყორცნა თუ კარში ჩაჭრა, გონებამახვილური პასი, არასტანდარტული სათამაშო სტილი და აზროვნება, რასაც ემატებოდა ლიდერის თვისებები. ის მუდამ ამოუცნობი იყო მოწინააღმდეგისთვის, რადგან მისი ყოველი თამაში შემოქმედების შედეგი იყო. ის ინტუიციით მოწინააღმდეგეზე ადრე გრძნობდა საგოლე სიტუაციას და კარის წინ შექმნილ ორომტრიალში ყველას ასწრებდა წყლიდან თუ ჰაერიდან ბურთის კარში სხვადასხვა ტექნიკური ილეთის გატანას. ყველაზე ხშირად ეს გადამწყვეტი, გამარჯვების მომტანი გოლები იყო საბჭოთა კავშირის პირველობებზე თუ ხალხთა სპარტაკიადებზე, საერთაშორისო ტურნირებზე საბჭოთა კავშირის თუ საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში, რომელთა ოქროს, ვერცხლის თუ ბრინჯაოს მედლები მრავლადაა მის კოლექციაში. სპორტის კარიერის დასრულების შემდგომ მან ასეთივე სახელოვანი გზა განვლო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კედლებში, სადაც ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი და პროფესორის წოდება მოიპოვა. ის მრავალი მეცნიერული ნაშრომის, წიგნისა და სტატიის ავტორია, რომლებიც განსაკუთრებული ხედვით გამოირჩევა.

ოთარ მიმინოშვილი დარჩება ჩვენს ცნობიერებაში, როგორც გამოჩენილი სპორტსმენი, მეცნიერი და შესანიშნავი მეგობარი.

საწყლოსნო სახეობათა ეროვნული ფედერაცია,
ვეტერანი წყალბურთელები

პანაშვიდი 3, 4, III, 17 სთ. ქ. თბილისი, მიცკევიჩის ქუჩა 25, მე-5 სადარბაზო, პირველი სართული. გამოსვენება 5 III, 14 სთ. საბურთალოს სასაფლაოს ეკლესიიდან (გაზდელიანის).

ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოება ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა თვალსაჩინო ქართველი ეთნოლოგი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, სპორტის დამსახურებული ოსტატი

ოთარ მიმინოშვილი

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია მწუხარებას გამოთქვამს ცნობილი ისტორიკოს-ეთნოლოგის, გამოჩენილი სპორტსმენის, მეგობრისა და სანიმუშო მოქალაქის

ოთარ მიმინოშვილის

გარდაცვალების გამო.

ძნელია, აღწერო ის ტკივილი, რომელიც უსაყვარლესი ადამიანის დაკარგვისას გეუფლება, ან მოძებნო სიტყვები, რომელიც მშობელს შვილის სიკვდილს შეუმსუბუქებს.

ეგრისის თანამშრომლების სახელით (ფრიდონ ინჯია, თემურ ბერიშვილი, ჯანო გეგეჭკორი, ქეთინო ასიტაშვილი, ოლეგ გვენცაძე, მიხეილ ყურეშიძე, თამრიკო ჩხაიძე, ნინო თათრიშვილი, სერგო ჩიკვილაძე) ღრმა მწუხარებას გამოვთქვამთ, ვუსამძიმრებთ და თანავუგრძნობთ **გივი ქირიკაშვილის** ოჯახს

შვილის

გარდაცვალების გამო.

მეუღლე ელენე მანჯგალაძე, შვილები მარინე, მაია კვეზერელი-კოპაძეები, სიძეები ამირან გამყრელიძე, ანდრო დევდარიანი, შვილიშვილები ნიკა, თამუნია გამყრელიძეები, თეონა, თამთა დევდარიანები ოჯახებით, შვილთაშვილები, ძმისშვილები თემურ, მზია, ირაკლი კვეზერელი-კოპაძეები, გოგა ალექსი-მესხიშვილი, დისშვილები ნუნა იაშვილი, თათუ ხარებავა, თინა ჯანაშია ოჯახებით, მძახლები თამაზ ტუღუში, გივი კომახიძე, გოჩა ინგოროყვა, ავთო ბარამაშვილი, ვახტანგ ოყროშიძე ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა უხუცესი პედიატრი, ღვაწლმოსილი საზოგადო მოღვაწე, ძირძველი თბილისელი, საკუთარი ქვეყნის უზომოდ მოყვარული პიროვნება

ავთანდილ კვეზერელი-კოპაძე

პანაშვიდი 3, 4 III, 17 სთ, გამოსვენება 5 III, 14 სთ. მისამართი: ქეთევან წამებულის გამზ. 20.



საქართველოს მეან-გინეკოლოგთა და პერინატალოგთა ასოციაცია, აკად. კ. ჩაჩავას მრავალპროფილიანი კლინიკა, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მეანობა-გინეკოლოგიის დეპარტამენტი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ ქართულმა სამედიცინო საზოგადოებამ განიცადა უმძიმესი დანაკლისი. წავიდა ჩვენგან გამოჩენილი ქართველი მეცნიერი, ქართული პედიატრთა სკოლის მამამთავარი, პროფესორი

ავთანდილ კვეზერელი-კოპაძე

და სამძიმარს უცხადებენ მის ოჯახს, ქართულ პედიატრთა საზოგადოებას და სრულიად საქართველოს.

პროფესორ ავთანდილ კვეზერელი-კოპაძის უდიდესი ღვაწლი ქართული მეცნიერული პედიატრიის განვითარებაში, დაუღალავი, თავდადებული პრაქტიკული მოღვაწეობა ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა ჯანმრთელობის საქმეში, ქართველ პედიატრთა კადრების აღზრდაში სამუდამოდ დარჩება ქართული პედიატრიის ისტორიაში. ის იყო ნამდვილი რაინდი და ამიტომაც საქართველოს მეან-გინეკოლოგთა და პერინატოლოგთა ასოციაციამ მას მიანიჭა „მედიცინის რაინდის“ საპატიო წოდება.

უფალმა ნათელში ამყოფოს მისი სული.

პალიკო კინტრაია, ნინო კინტრაია, ნიკოლოზ კინტრაია ოჯახებით ღრმა მწუხარებას გამოხატავენ ოჯახის უახლოესი მეგობრის, შვილების მკურნალისა და საყვარელი მასწავლებლის, პროფესორ

ავთანდილ კვეზერელი-კოპაძის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ მის სახელოვან დიდ ოჯახს.

მანანა ტუსკია, გულიკო ციხელაშვილი, გიორგი ოქრიაშვილი, ქეთევან და რუსუდან კვაჭანტირაძეები ოჯახებით ღრმა მწუხარებას გამოხატავენ უძვირფასესი ადამიანის, ქართული პედიატრიის მამამთავრის

ავთანდილ კვეზერელი-კოპაძის

გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

საერთაშორისო ასოციაცია „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“ ღრმა მწუხარებას გამოხატავს დიდი ქართველი პედიატრის, სამედიცინო მეცნიერების თვალსაჩინო წარმომადგენლის, ცნობილი საზოგადო მოღვაწის, თბილისის საპატიო მოქალაქის, უკეთილშობილესი პიროვნებისა და მომხიბლავი ადამიანური თვისებებით გამორჩეული მოღვაწის, ბატონ

ავთანდილ კვეზერელი-კოპაძის

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს, მეუღლეს, ქალბატონ ელენეს, ქალიშვილებს მაიას და მარინეს, მათი ოჯახის წევრებს, ნათესავებს, ახლობლებს.

შვილები მარიკა, პაატა ეფრემიძეები, სიძე დავით ხოფერია, რძალი ეკა მერმანიშვილი, დები თინა, ნანი ეფრემიძეები, შვილიშვილები პატიკო, გიორგი ხოფერიები, გივიკო, კოწია ეფრემიძეები, დისშვილები იკა, ლაშა, ნონა, ოთო, ლია, ქეთი, გიგა ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

გივი თეოდოტის ძე ეფრემიძე

პანაშვიდი: 3, 4 III 17 სთ. მისამართი აბაშიძის (ყოფილი ბარნოვის) №8.
გამოსვენება 5 III, 14 სთ. საბურთალოს სასაფლაოს წმინდა ნინოს სახელობის ეკლესიიდან.

ძმა მერაბი, რძალი რუსუდან ბულია, ძმისშვილები ნინო, თამარი, სიძე ლევან ჯოხარიძე, ბიძაშვილები იზოლდა ახობაძე, ჟუჟუნა, დოდო, მარინა, ბეგი ბუკურაძეები, დეიდაშვილები მზია თევზაძე, მაია გეგელაშვილი ოჯახებით იუწყებიან

რუსუდან (ოლოლი) ახობაძის

გარდაცვალებას
პანაშვიდი 2, 3 III, 17 სთ. გამოსვენება 4 III, 14 სთ. ანტონ მარტყოფელის სახელობის ეკლესიიდან (საბურთალოს ქუჩა).

◎ სულიერება

დიდმარხვის პირველი შაბათი

4 მარტს საქართველოს წმიდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია იხსენიებს თეოდორე ტირონს. მთავარმოწამე თეოდორე დაიბადა პონტოს ოლქის ქალაქ ალასიაში (მცირე აზიის ჩრდილოეთ აღმოსავლეთი ოლქი), შავი ზღვის სანაპიროზე თეოდორე ტირონს მოსთხოვეს მსხვერპლშეწირვა კერპებისთვის, რაზეც მან უარი განაცხადა. ამისთვის იგი აწამეს 306 წელს იმპერატორ გალერის (305-311) მეფობის დროს, დაფლეს ქალაქ ევქაიტში, ამასიის ახლოს, ხსენების დღეა 17 თებერვალი და **დიდმარხვის პირველი შაბათი...**

* * *

...წმიდა თეოდორე სიზმარში მოევლინა არქიეპისკოპოსს და დაავალა, გაეფრთხილებინა ქრისტიანები მხოლოდ კოლიო (მოხარშული ხორბალი თაფლით) ეჭამათ.

მართლმადიდებელი ეკლესია ამ დღის მოსახსენებლად ყოველწლიურად აღნიშნავს დიდმარხვის პირველ შაბათს, აქედან იწყება კოლიოს კურთხევა და მორწმუნეთათვის დარიგება.

მართლმადიდებლობის ზეიმი

5 მარტს საქართველოს წმიდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია აღნიშნავს მართლმადიდებლობის დიდი მარხვის („წმიდა ორმეოცის“) პირველ კვირიაკეს (კვირა დღეს).

...ცნობილია, რომ მართლმადიდებლობის ზეიმი დაწესებულ იქნა 842 წელს. კონსტანტინოპოლის ადგილობრივ საეკლესიო კრებაზე, რომელსაც თავმჯდომარეობდა წმიდა მეთოდი კონსტანტინოპოლელი. კრებამ აღადგინა ხატთა თაყვანისცემა, რითაც განმტკიცდა ზეიმი მართლმადიდებლობისა.

საგულისხმოა ისიც, რომ VII საუკუნეში ბიზანტიის სახელმწიფოს გაძლიერების ჟამს, წარმოიშვა მის წიაღში ახალი ერესი-ხატმებრძოლობა, რომელიც მთელი საუკუნის მანძილზე მძვინვარებდა... იოანე დამასკელმა ხატმებრძოლობის საწინააღმდეგოდ ხატსა და მის თაყვანისცემაზე მართლმადიდებლური სწავლება ჩამოაყალიბა.

გიული ლიპარტია

მირზა გელოვანის დაბადებიდან 100 წელი შესრულდა

გუშინ, 2 მარტს ქართველი პოეტის მირზა გელოვანის დაბადებიდან 100 წელი შესრულდა. მირზა (რევაზ) გელოვანი 1917 წლის 2 მარტს სოფელ ნაქალაქარში (ახლანდელი თიანეთის რაიონი) დაიბადა. მირზა გელოვანი იყო ქართველი პოეტი, შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (1975, სიკვდილის შემდეგ).

1936-1939 წლებში ცხოვრობდა თბილისში, თავისუფალ მსმენელად დადიოდა უნივერსიტეტში. მუშაობდა გამომცემლობა „ფედერაციაში“, „საბჭოთა აფხაზეთის“ რედაქციაში. მისი ლექსები 1935 წლიდან იბეჭდებოდა „ჩვენს თაობაში“ და სხვა ჟურნალ-გაზეთებში. 1939 წელს წითელ არმიაში გაიწვიეს. დაიღუპა 1944 წელს, მეორე მსოფლიო ომში. დაკრძალულია ბელარუსში, ვიტებსკის ოლქის ბერნეკოვიჩის რაიონის სოფელ სანიკის საძმო სასაფლაოზე.

მირზა გელოვანმა შექმნა თავისთავადი პოეტური სამყარო. მისი ლექსები გამოირჩევა ნათელი სახეებით, ლაკონიზმით, ემოციურობითა და ექსპრესიულობით. აღიარება მოუტანეს ლექსებმა: „თუშის ქალი წყაროზე“, „ცხრაკარა“, „შავლეგო“, „მელოდე“, „მთაწმინდიდან სმოლენსკამდე“, „იჯექი წყნარად“, „მთვარე“, „შემოღამება საბადურზე“, „მახსოვს“, „ხრეშად დაცვივდა სიტყვები“; ასევე აღსანიშნავია ბალადა „აონი“, პოემა „შავნაბადა“ და სხვ. მირზა გელოვანმა სულ სამიოდე წელი იტრიალა დედაქალაქის ლიტერატურულ წრეებში, ხოლო შემდეგ, ომში წასული პოეტი, დროდადრო სამშობლოში აგზავნიდა ნაჩქარევად დაწერილ ლექსებსა და წერილებს, რომლებშიც თბილისის მონატრება ჩანდა.

თბილისში, ვაჟა-ფშაველას პროსპექტზე არის მირზა გელოვანის სახელობის ბიბლიოთეკა. თელეთში, თბილისის მახლობლად ჟიული შარტავას თაობის მიერ აშენებულ ახალგაზრდულ ქალაქში დგას მისი ძეგლი.

თბილისის საჯარო ბაღებმა დედის დღე აღნიშნეს

ტრადიციულად, თითქმის ყველა ბაღში ბავშვებმა დედებისათვის მისალოცი ბარათები და სუვენირები დაამზადეს.

წყნეთის №114 საჯარო ბაგა-ბაღის აღსაზრდელებმა კი თანატოლებისათვის თეატრალური წარმოდგენა გამართეს. პატარა მსახიობებმა აღმზრდელების დახმარებით თოჯინების სპექტაკლი „ჭუკიტოს თავგადასავალი“ წარმოადგინეს და აღფრთოვანებული მაყურებლების ოვაციაც დაიმსახურეს.

ბაგა-ბაღის დირექტორის ნინო მამამთავრიშვილის განცხადებით, თოჯინების თეატრი მცირე ექსპერიმენტი იყო, რომელმაც ბავშვების დიდი მოწონება დაიმსახურა. სწორედ ამიტომ, ბაგა-ბაღის ადმინისტრაციამ და აღმზრდელებმა გადაწყვიტეს, რომ სამომავლოდ რეპერტუარი განავრცონ და კიდევ უფრო ხშირად გამართონ თეატრალური წარმოდგენები.

მსოფლიოს სიახლენი

ბრეივიკი კომპენსაციას ვერ მიიღებს

ბორგარტინის სააპელაციო სასამართლომ ქვემო ინსტანციის გადაწყვეტილება ანდერს ბრეივიკისთვის კომპენსაციის გამოყოფის შესახებ გააუქმა. მოსამართლემ განაცხადა, რომ იზოლირებულ კამერაში მსჯავრდებულის უფლებები არ დარღვეულა. მისივე განმარტებით, ბრეივიკი ციხეში ნორმალურ პირობებში იმყოფება, საერთო კამერაში მისი გადაყვანა კი შეუძლებელია, რადგანაც მას თავს შესაძლოა, სხვა პატიმრები დაესხან. ანდერს ბრეივიკმა ოსლოსა და კუნძულ უტოიაზე მასშტაბური ტერორისტული აქტები 2011 წელს მოაწყო, რასაც 77 ადამიანი ემსხვერპლა. ტერორისტს 21 წ-ლიანი პატიმრობა აქვს მისჯილი.

ინგლისის სკოლებში ბავშვები სექსუალურ განათლებას მიიღებენ

ინგლისის სკოლებში სქესობრივი ურთიერთობის შესახებ გაკვეთილები სავალდებულო ხდება. ამის შესახებ განათლების მინისტრმა ჯასტინ გრინინგმა განაცხადა. მისივე განმარტებით, ბავშვები უსაფრთხო და ჯანსაღი თანაცხოვრების შესახებ 4 წლის ასაკიდან მიიღებენ. დღემდე სექსუალური განათლების მიღება მხოლოდ ადგილობრივ საბჭოებს დაქვემდებარებულ სახელმწიფო სკოლებში იყო შესაძლებელი.

ოპრა უინფრის ამერიკის პრეზიდენტობა სურს

პოპულარული ამერიკელი ტელეწამყვანი ოპრა უინფრი არ გამორიცხავს, საპრეზიდენტო არჩევნებში საკუთარი კანდიდატურა დააყენოს. ამის შესახებ მან ტელეარხ „ბლუმბერგისთვის“ მიცემულ ინტერვიუში განაცხადა. „ადრე ვფიქრობდი, რომ ამისთვის საკმარისი პოლიტიკური გამოცდილება არ მქონდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც პრეზიდენტად ტრამპი აირჩიეს, აზრი შემეცვალა,“ — აღნიშნა უიმპრიმ.

სიმსუქნე სიმსივნის წარმოქმნის რისკს ზრდის

ლონდონელ მეცნიერთა მტკიცებით, სიმსუქნე 11 სახეობის სიმსივნის წარმოქმნის რისკს ზრდის. მათ შორისაა სწორნაწლავის, მსხვილი და წვრილნაწლავის, თირკმლის და სასუნთქი გზების კიბო. მეცნიერები ჭარბწონიანებს კიბით ხშირად სარგებლობას და შაქრიან სასმელებზე უარის თქმას ურჩევენ.

თაგვმა საჰაერო რეისი შეაფერხა

ლონდონი-სან ფრანცისკოს რეისი რამდენიმე საათით შეჩერდა. ამის მიზეზი თაგვი გახდა, რომელიც მგზავრებმა თვითმფრინავში დაინახეს. ინციდენტის შესახებ British Airways-ის ხელმძღვანელობას ეცნობა, რომელმაც რეისი დროებით შეაჩერა. სპეციალისტებმა თვითმფრინავის ელექტროსადენები შეამოწმეს, რასაც სრული 4 საათი დასჭირდა.

ტურისტებად მთვარეზე

45-წლიანი პაუზის შემდეგ ადამიანი კიდევ ერთხელ დაადგამს ფეხს მთვარეზე, ოღონდ, ამჯერად როგორც ტურისტი. ამერიკული Space-ის წარმომადგენელმა ელონ მუსკმა განაცხადა, რომ მათი კომპანიის მიერ წარმოებული თანამგზავრით, მომავალ წელს 2 ადამიანი ტურისტული საგზურით მთვარეზე გაფრინდება. თუმცა მას ტურისტების ვინაობა არ დაუსახელებია და მხოლოდ იმის თქმით დაკმაყოფილდა, რომ შეთანხმების საფუძველზე ტურისტებისგან, რომლების მომზადება უახლოეს ხანებში დაიწყება, უკვე წინასწარ აუღიათ განსაზღვრული თანხა, ხოლო მთლიან თანხას ფრენის დასრულების შემდეგ აიღებენ. მუსკს არაფერი არ უთქვამს მთვარეზე მოგზაურობის მთლიანი საფასურის შესახებ.

მაიკლ ჯექსონის რანჩო 30 მლნ დოლარით გაიაფდა

„პოპის მეფის“ მაიკლ ჯექსონის (1958-2009) კალიფორნიაში მდებარე რანჩო 30 მლნ დოლარით გაიაფდა და დღეისათვის მისი ღირებულება 67 მლნ დოლარია. რანჩო ლოს-ოლივოსში, სანტა-ბარბარადან 64,4 კმ-ს დაშორებით მდებარეობს.

Wall Street Journal-ი (WSJ) წერს, რომ Neverland ისევ გასაყიდადაა გამოტანილი. რანჩო უძრავი ქონების კომპანია Coldwell Banker Previews International-მა 2016 წლის გაზაფხულზე გაყიდვიდან მოხსნა, თუმცა მოგვიანებით ისევ გამოიტანა. რანჩო ამ დროისათვის ფონდ Colony Capitad-ის მმართველობის ქვეშ იმყოფება, რომელიც თავის მხრივ მაიკლ ჯექსონის ახლობელი ბიზნესმენის ტომას ბარაკომის კონტროლის ქვეშაა. 2008 წელს, როდესაც მომღერალი ფინანსურ კრიზისში იმყოფებოდა, რანჩო ფონდის მიერ 23,5 მლნ დოლარად იპოთეკით დაიტვირთა. თუმცა 2009 წლის 25 ივნისს მაიკლ ჯექსონი გარდაიცვალა. აღსანიშნავია, რომ რანჩოს მაიკლ ჯექსონი 1987 წელს დაეუფლა, რაშიც თავის დროზე 19,5 მლნ დოლარი გადაიხადა.



ყველაფერი — ყველაფერზე

სიცოცხლის მიჯნა

ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობამ, პრაქტიკულად, თავის მაქსიმუმს მიაღწია, მიაჩნიათ ამერიკის ალბერტ აინშტაინის სახელობის სამედიცინო კოლეჯის მეცნიერებს.

მე-19 საუკუნიდან მოყოლებული სიცოცხლის ხანგრძლივობა, ჯანდაცვის განვითარების დონის მატების, კვების გაუმჯობესების პარალელურად, გამუდმებით იზრდებოდა. მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში 1900 წელს დაბადებულ ბავშვებს, საშუალოდ, 47 წელი შეეძლოთ ეცოცხლათ, ჩვენს დროში დაბადებულ ახალშობილებს კი 79 წლის სიცოცხლის პოტენციალი აქვთ.

მეცნიერებმა ასევე შეისწავლეს იმ დღეგრძელ პირთა მონაცემები, ვინც 110 წელზე მეტი იცოცხლა — ამ ინფორმაციას თავი მოუყარეს ასევე იაპონიაში, საფრანგეთსა და დიდ ბრიტანეთში 1968-2006 წლების პერიოდში. აღმოჩნდა, რომ მათი სიცოცხლის ხანგრძლივობის პიკმაც გადაიწია, მაქსიმუმს 1995 წლისთვის მიაღწია და 115 წელი შეადგინა. აბსოლუტურ რეკორდად კი მეცნიერები 125 წლის ასაკს მიიჩნევენ. ისინი ვარაუდობენ, რომ სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა კვლავ მოიმატებს, ოღონდ არა იმდენად, როგორც ეს წინა წლებში იყო, ხოლო სიცოცხლის მაქსიმალური ზღვრის ზრდას არ უნდა ველოდოთ.

„ერთი მანერით“ ტირილი

ახალშობილთა პირველი ყვირილი ერთმანეთისგან იმისდა მიხედვით განსხვავდება... თუ რა ენაზე ლაპარაკობენ მათი მშობლები, დაადგინეს ჩინელმა და გერმანელმა მეცნიერებმა.

ეს თვისება განსაკუთრებით შესამჩნევია ტონალური ენების მატარებლებში, რომლებშიც სიტყვის მნიშვნელობა წარმოთქმული ბგერის სიხშირისა და რაკრაკის მიხედვით იცვლება. ერთ-ერთი ასეთი ენაა ჩრდილოეთჩინური, რომელშიც ოთხი ტონია. მეორეა ლამნსო, რომელზეც 250 ათასი კამერუნელი ლაპარაკობს და რვა ტონს შეიცავს. აღმოჩნდა, რომ პატარები, რომელთა მშობლები ტონალურ ენაზე ლაპარაკობენ, უფრო მაღალ სიხშირეზე და რაკრაკით ტირიან. მათი ტირილი ერთგვარად სიმღერას ჰგავს.

გამოკვლევით დადგინდა, რომ ბავშვები ენას ჯერ კიდევ დედის მუცლად ყოფნის დროს ეცნობიან, რომელთა თავისებურებები მათ მიერ დაბადებისას წარმოთქმულ ბგერებზე აისახება. ამასთან, აღსანიშნავია, ისიც, რომ ახალშობილთა ტირილზე სხვა ფაქტორები არ მოქმედებს. ამიტომაც, ტექნიკურად მოწინავე ქვეყანაში დაბადებული ჩინელებიც და კამერუნის პატრიარქალური ტომის ჩვილებიც დაახლოებით ერთი და იგივე „მანერით“ ტიროდნენ.

სილამაზისა და ჰარმონიის ძალა

საბერძნეთის ყველაზე სახელგანთქმული ჰეტერა ფრინა პირველი ქალი გახდა, რომელიც საჯაროდ გაშიშვლების გამო სასამართლოს წინაშე წარსდგა.

წელიწადში ერთხელ, პოსეიდონისა და აფროდიტეს პატივსაცემად გამართულ დღესასწაულზე, ფრინა თავისი სახლიდან გამოდიოდა, ტაძრის საფეხურებზე სამოსელს იხდიდა, სიშიშვლეს დიდებული გრძელი შავი თმით იფარავდა და ზღვაში ჩადიოდა. რიტუალური ბანაობის შემდეგ იგი ქვიშაზე წვებოდა, მისი შიშველი სხეულის ხილვა კი ყველა მსურველს შეეძლო.

ფრინას უარით გასტუმრებულმა ერთ-ერთმა მისმა პატივმოყვარე თაყვანისმცემელმა მას საქალაქო სასამართლოში უჩივლა და მოქალაქეთა ზნეობის გარყვნაში დასდო ბრალი, რაც სიკვდილით ისჯებოდა. როცა ბრალდებული სიტყვას ამთავრებდა, ფრინას დამცველმა ჰიპერიდემ კურტიზანი ქალი მოაჯირთან მიიყვანა და სამოსელი ჩამოგლიჯა. ამ არგუმენტმა საქმე მის სასარგებლოდ გადაწყვიტა: სილამაზისა და სრულქმნილების წყალობით ფრინა გაამართლეს.

საგულისხმოა ისიც, რომ ძველი საბერძნეთის სახელოვანი მოქანდაკის პრაქსიტელის ცნობილი ნამუშევრის „აფროდიტე კნიდელის“ მოდელი სწორედ ფრინა იყო.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძობულია
293-13-34
599 36-00-35
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად წაიკითხე!

უცხოური ვალუტის კურსი:

აშშ დოლარი - 2.4828; ევრო - 2.6176;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.0732;
100 რუბლი - 4.2718; თურქული ლირა - 0.6834;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4047;
1000 სომხური დრამი - 5.1086.

ამინდი 3 მარტისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	0	დღე	+17
მთიანი რაიონები -	ღამე	-3,	დღე	+13
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+9,	დღე	+17
მთიანი რაიონები -	ღამე	+1,	დღე	+15
თბილისი:	ღამე	+3,	დღე	+17

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge